ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

ПРОЛЕТАРELEBO ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 246 (18788) ოთხშაბათი, 26 ოქტომბერი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

მაღვილი პუბლიცისტური სიტყვით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმმა მაღალი შეფასება მისცა მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში, სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად შრომითი კოლექტივების დარაზმვაში, პარტიის ეკონომიკურ-სოციალური პოლიტიკის საარსებო პრობლემებზე მშრომელთა სწორად ინფორმირებაში მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა სულ უფრო მზარდ როლსა და მნიშვნელობას, დასახა პუბლიკაციათა ქმედითობის შემდგომი ამაღლების მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები.

თანამედროვე პირობები, ნათქვამია პლენუმის დადგენილებაში, მოითხოვს პრესის, კერძოდ, საუწყებო პრესის სტრუქტურის განუხრელ სრულყოფას, განსაკუთრებით მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებათა მიმწიფებული პრობლემების გადაჭრას.

გუშინწინ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა თათბირი, რომელზეც განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის შედეგები და მრავალტირაჟიანი გაზეთების ამოცანები. თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების პარტიული კომიტეტების მდივნები, მრავალტირაჟიან გაზეთების რედაქტორები, რესპუბლიკის უურნალისტთა კავშირის, გამსახკომის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრესისა და პროპაგანდის საშუალებათა ეფექტიანობის სოციოლოგიური კვლევის ლაბორატორიის, რესპუბლიკური უურნალ-გაზეთების წარმომადგენლები.

როგორც თათბირზე აღინიშნა, მრავალტირაჟიან გაზეთებს თავიანთი კონკრეტული ადგილი და ამოცანები აქვთ, რაც განსაზღვრავს კიდეც მათ სახეს, მუშაობის ძირითად მიმართულებებს, ფორმებსა და მეთოდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმიდან განვლილი პერიოდი აღინიშნა მრავალტირაჟიანი პრესისადმი პარტიული ხელმძღვანელობის სრულყოფით, მასთან მუშაობის ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებით. პარტიის ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის და პირველი მაისის რაიკომებმა სულ ახლახან საგნობრივად გააანალიზეს სამრეწველო საწარმოებისა და უმაღლესი სასწავლებლების მრავალტირაჟიანი გაზეთების საქმიანობა, პრესის სადღეისო მოთხოვნათა გათვალისწინებით დასახეს პუბლიკაციათა მებრძოლურობის, პრინციპულობის, მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკთა პერსონალური პასუხისმგებლობის, პროფესიული ოსტატობის ამაღლების ღონისძიებები.

სულ უფრო საგნობრივი და შინაარსიანი ხდება საწარმოების, კოლმეურნეობების, უმაღლესი სასწავლებლების სოციალურ-ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური ამოცანებისადმი მრავალტირაჟიანი გაზეთების დამოკიდებულება. საკითხის ხილვამის წვდომა, მუშაობის ძირითადი მიმართულებების კონკრეტული განსაზღვრა, პუბლიკაციათა მიწოდების ორიგინალური ხერხები ქმნიან ამ გაზეთების სახეს, ამაღლებენ მათს ავტორიტეტსა და ზეგავლენას.

საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის, უმაღლესი სასწავლებლების გაზეთები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პარტიული ცხოვრების და სოციალისტური შეჯიბრების აქტუალურ საკითხებს. საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს ლენინის ორდენოსანი №1 ტრესტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული კომიტეტების ორგანო „რუსთაველი მშენებელი“ სისტემატურად ბეჭდავს აქტუალურ მასალებს რუბრიკებით „პარტიულ კომიტეტში“, „პარტიული ცხოვრება“. გაზეთის მოკლე, შინაარსიანი პუბლიკაციები განსაკუთრებულ მამობილიზებელ როლს ასრულებენ.

აქტიურად მოქმედებენ რუბრიკები „საწარმო მოწინავე პოზიციისათვის იბრძვის“, „სოციალისტურ შეჯიბრებას — ძლიერი ფრთები“ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, ფოთის ნავსაღგურის სამმართველოს მრავალტირაჟიან გაზეთებში „ფეროშენადნობელში“, „ფოთის ნავსადგურელში“.

მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებთან შეურიგებლობით, კრიტიკულ პუბლიკაციათა ქმედითობის ამაღლებისათვის ბრძოლის სისტემით გამოირჩევა წითელწყაროს რაიონის სოფელ არბოშიკის კოლმეურნეობის გაზეთი „წითელი არბოშიკი“.

სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესების სრულყოფას, მტკიცე იდეური რწმენის სპეციალისტთა აღზრდას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, თბილისის სახოფლო-სამეურნეო და პედაგოგიური ინსტიტუტების მრავალტირაჟიანი გაზეთები „თბილისის უნივერსიტეტი“, „საბჭოთა აგრონომი“, „საბჭოთა პედაგოგი“.

ამასთან ცალკეული მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობას ახასიათებს სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის, უმაღლესი სასწავლებლის კონკრეტული ცხოვრებისაგან მოწყვეტა, მწვავე პრობლემებისა და საჭირბოროტო საკითხებისათვის თავის არიდება, ზოგადობა. წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის პარტიული, კომკავშირული კომიტეტებისა და გამგეობის ორგანო „კომუნიზმისაკენ“ მიმდინარე წლის 20 ივლისის ნომერში „პარტიული ცხოვრების“ რუბრიკით საამქრო პარტიული ორგანიზაციის კრების ანგარიშში წერდა, რომ ბრიგადებში მოოწვლილობის შედეგად ვენახების ბალახი მოერია. კოსკრეტული მისამართები კი შეცვალა სიტყვებით „რიგ ბრიგადებში“, „ზოგიერთ რგოლში“, „ცალკეული მევენახეები“.

უფრო მეტიც. მრავალტირაჟიანი გაზეთები ხშირად იოლ გზებს ეძებენ და უხვად იყენებენ თავიანთი საწარმოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე რესპუბლიკურ და საქალაქო გაზეთებში გამოქვეყნებულ მასალებს პირველწყაროების მიუთითებლად. მუშაობის ამგვარი სტილი ახასიათებს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ისნის“ მრავალტირაჟიან გაზეთს „კომუნისტური შრომისათვის“. ამბეტის რაიონის ზემო ალვანის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის, რუსთავის ქიმიური ქარხნის გაზეთები ნაკლოვანებათა მხილებას მათი აღმოფხვრის კონკრეტული გზების ძიებას ამჯობინებენ ძირითადად გამოიყენონ სახალხო კონტროლი, „კომკავშირული პროექტორის“ მიერ გამოვლენილი, შესაბამისი ორგანოების მიერ უკვე განხილული, პრინციპულად შეფასებული ფაქტები. მინდობილი საქმისადმი ასეთი დამოკიდებულება, ცხადია, აქვეითებს გაზეთის ავტორიტეტს, კრიტიკული გამოსვლების ქმედითობას.

მრავალტირაჟიანი გაზეთების ერთი ნაწილისათვის დამახასიათებელია ცალმხრივობა, საწარმოს ყოველდღიური ცხოვრების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის მხოლოდ ერთ მიმართულებაზე ყურადღების გამახვილება. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის გაზეთი „თბილისელი ფეიერი“ აქტიურად იბრძვის სამუშაოზე დაგვიანების, გაცდენის აღმოფხვრისათვის, მაგრამ ყურადღების გარეშე რჩება საწარმოო დისციპლინის სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი უბნები.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ძირეულ სრულყოფას მოითხოვს საერთოდ გაზეთების მუშაობის, კერძოდ კრიტიკული პუბლიკაციების დაგეგმვის ორგანიზაცია, რის გამოც განსაკუთრებული ყურადღება მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ამ მიმართულებით გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქციის მიერ გაწეულ მუშაობას და შეძენილ გამოცდილებას.

შრომითი კოლექტივების ყოველდღიური ცხოვრებისაგან მოწყვეტის შედეგია ისიც, რომ ზოგიერთი გაზეთი ისედაც მცირე მოცულობის ფართობს ავსებს პუბლიკაციებით, რომელთაც საერთო არაფერი აქვთ სამრეწველო საწარმოს, კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტასთან. ჩოხატაურის რაიონის სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის გაზეთი „ხიდისთაველი კოლმეურნე“ ხშირად ავსებს ოფიციალური — საკადრისა და საქინფორმრის არხებით მიღებული პუბლიკაციებით, რომლებსაც, ფაქტობრივად, საერთო არა აქვთ რა თვით ამ კოლმეურნეობასთან. იუმორი, მხატვრული ნაწარმოებები სჭარბობს თბილისის საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატის“ გაზეთ „ელექტრიკოსის“ და ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირის კოლმეურნეობის მრავალტირაჟიანი გაზეთის პუბლიკაციებში.

მშრომელთა ზნეობრივი და იდეური აღზრდა მრავალტირაჟიანი გაზეთების ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს, ისინი განუხრელად უნდა ეძებდნენ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სულ ახალ ფორმებსა და მეთოდებს, შეურიგებლად ებრძოდნენ ამ საქმეში ჯერ კიდევ არსებულ ფორმალიზმს, შაბლონს, ზერელობას. ამის ნაცვლად თბილისის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის გაზეთი „ჩვენი საყვირი“ იდეურ-პოლიტიკური მუშაობის ამსახველ პუბლიკაციებს ავსებს ზოგადი ფრაზებით.

მრავალტირაჟიანმა გაზეთმა არა მარტო უნდა ასახოს მოვლენა, არამედ სათავეში ჩაუდგეს, საყოველთაო საკუთრებად აქციოს სასარგებლო თაოსნობა, თვითონ იყოს პატრიოტული ინიციატივის თაოსანი. ამ თვალსაზრისით მრავალტირაჟიანი გაზეთები სუსტად ასრულებენ თავიანთ ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას — კოლექტიური ორგანიზატორის ფუნქციას. ამ ბოლო დროს არც ერთ სასარგებლო წამოწყებას არ ჩასდგომიან სათავეში თელავის რაიონის სოფელ კონდოლის, სიღნაღის რაიონის სოფელ ბოდბის, მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის კოლმეურნეობის გაზეთები.

მრავალტირაჟიანი გაზეთები ფართო, საქმიან პროპაგანდას ვერ უწევენ მეცნიერების მიღწევებს, შრომის ორგანიზაციის ნოვატორულ მეთოდებს. რუბრიკა „მეცნიერული მიღწევები — ცხოვრებაში“ იშვიათად გვხვდება გორის ბამბეულის საწარმოო გაერთიანების, ქუთაისის ამრეშუმის საწარმოო გაერთიანების გაზეთებში.

როგორც ჩანს, მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკები არ ეძებენ სიახლეებს, თამამად არ იბრძვიან მათ გასავრცელებლად. ამიტომ მათ მუშაობაში სჭარბობს შაბლონი, ზერელობა. ეს მეტად საშიში სენია და მას პრინციპულად უნდა ვებრძოლოთ.

ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივ საშუალებათა მუშაკების პროფესიული მომზადება, რაიონული გაზეთების მუშაობისა და მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის შემდგომი სრულყოფის, მუშა და სოფლის კორესპონდენტებთან მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებების შესაბამისად დროზე შეიქმნას უურნალისტთა კადრების რეგიონებში განაწილებას, ადგილობრივ უურნალისტთა გადამზადების მწყობრი და ეფექტიანი სისტემა.

მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაობის ანალიზი ცხადყოფს, რომ საჭიროა მასობრივი ინფორმაციის ადგილობრივი საშუალებების, მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკებმა უფრო გააზრებულად, შემოქმედებითად იბრძოლონ იმისათვის, რომ ყოველ კოლექტივში, ყოველ შრომით უბანზე, საშუაო ადგილზე შექმნან საქმისადმი უაღრესად მომთხოვნი დამოკიდებულების ატმოსფერო. აუცილებელია, რომ ყოველი საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრობლემა აღვძრათ საქმის ღრმა ცოდნით; პრაქტიკულ გამოცდილებაზე, მტკიცე თეორიულ მომზადებაზე დაყრდნობით გამოვნახოთ, დავსახოთ მათი ეფექტიანად გადაწყვეტის გზები, ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ყოველი ჩვენი გამოსვლა იყოს კონკრეტული, დროული და პრობლემური. ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დახმარებით მიგაღწიოთ აღძრული პრობლემის ქმედითად, კომპეტენტურად გადაწყვეტას. ჩვენი საერთო ამოცანა ის არის, რომ, მახვილი, მართალი პუბლიცისტური სიტყვით ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მშრომელებზე მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გავლენის ზრდას, მშრომელ მასებთან იდეოლოგიური, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ სრულყოფას, სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეთერთმეტე ხუთწლედის სახელმწიფო დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის თითოეული შრომითი კოლექტივის, თითოეული მშრომელის დარაზმვას.

აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკებო! დააჩქარეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია! მიაღწიეთ სურსათითა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით ქვეყნის საიმედო უზრუნველყოფას! ამრავლეთ თქვენი წვლილი სასურსათო პროგრამის რეალიზაციაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან.

აგროსამრეწველო კომპლექსი: ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათშორისო საკოორდინაციო საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე განიხილეს ცხრა თვის მუშაობის შედეგები და მიმდინარე წლისა და მთლიანად XI ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი. მის მუშაობაში მონაწილეობდნენ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომის პასუხისმგებელი მუშაკები, აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი და მისი დარგების მომსახურე სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეები.

სხდომა გახსნა საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარემ — რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ო. გ. ვარძელაშვილმა.

მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ა. ღურწკაიამ.

სხდომაზე აღინიშნა, რომ წლევანდელი რთული ამინდის პირობების მიუხედავად, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა ბევრი რამ გააკეთეს იმისათვის, რომ თავდადებული მუშაობით, მაღალი ორგანიზებულობით, იმ დარგების განვითარებაზე ზრუნვით, რომლებიც სტიქიას გადაურჩა, აენაზღაურებინათ უამინდობით მიყენებული ზარალი. მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლისა და მეცხოველეობის პროდუქციის დამზადების გეგმა და ვალდებულება. აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში გადაჭარბებით შესრულდა სასაქონლო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის ცხრა თვის დავალებანი.

მაგრამ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების საქმიანობაში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი. აქამადე ბევრ მეურნეობაში ნელა მიმდინარეობს მოსავლის აღების სამუშაოები, არის მოსავლის დანაკარგები როგორც მისი აღების, ისე გადაზიდვის დროს. მოსახლეობასთან საზოგადოებრივ მეურნეობათა კოოპერირება მეცხოველეობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების სხვა დარგების განვითარების დაჩქარების მიზნით ყველგან და ზოგჯერ უნარიანად როდი ხორციელდება.

საკოორდინაციო საბჭომ აგროსამრეწველო კომპლექსისა და რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების ხელმძღვანელებს მოსთხოვა გააუმჯობესონ სამუშაოთა ორგანიზაცია მინდვრებში, პლანტაციებსა და ბაღებში.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის, კერძოდ, კახეთის მევენახეობის რაიონებისათვის სტიქიური უბედურებით მიყენებულმა ზარალმა სახალხო მეურნეობა რთულ მდგომარეობაში ჩააყენა. იმისათვის, რომ მაქსიმალურად შევავსოთ მოსავლის დანაკლისი, საჭიროა ავამოქმედოთ მთელი შიგა რეზერვები.

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს, შესაბამის სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებს მიეთითათ, რომ უნდა განახორციელონ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებისა და დამზადების მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების უთუოდ შესრულების ღონისძიებათა კომპლექსი. საჭიროა ეფექტიანი ღონისძიებების განხორციელება იმისათვის, რომ დროულად და მაღალხარისხოვნად გადაეცეს საექსპლოატაციოდ უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო ობიექტები, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი ობიექტები.

სხდომამ მოისმინა ინფორმაცია რესპუბლიკის მეურნეობებში საკვებდამამზადებელი ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.

სხდომაზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. ი. პატარაშვილი.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ნ. ი. გრიშაკოვი. (საქინფორმი).

საბჭოთა მთავრობის განცხადება

შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედების შედეგად სერიოზული საფრთხე შეექმნა ნიკარაგუის რესპუბლიკის სუვერენიტეტსა და უშიშროებას, გამწვავდა ვითარება მთელ ცენტრალურ ამერიკაში. ნიკარაგუის ტერიტორიაზე გზავნიან ათასობით პროფესიონალ დაქირაველებულს, რომლებიც ხოცავენ მშვიდობიან მცხოვრებლებს, ახორციელებენ დივერსიებს სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე, ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მოადუნონ ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. ისინი მოიმზადეს ამერიკის ბაზებში, შეაიარაღეს ამერიკული იარაღით. მათს მოქმედებას უშუალოდ წარმართავს და კოორდინაციას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო და სხვა სპეციალსამსახურები.

ვაშინგტონი მარტო იმ კონტრრევოლუციური ნაძირალების გამოყენებას როდი სჯერდება, რომლებიც ინტერვენციონისტული ძალების პირველ ეშელონს შეადგენენ. ნიკარაგუელ ხალხს ამერიკის ჯარების უშუალო შეჭრით ემუქრებიან. ნიკარაგუის სანაპიროსთან წყალ და ატლანტის ოკეანეებში პენტაგონმა თავი მოუყარა ათობით სამხედრო ხომალდს, მეზობელ ჰონდურასში, წვრთნის საბაბით, გაგზავნილია ამერიკის არმიის დიდი საბრძოლო კონტინგენტები, რომლებიც უშუალო მბრძანებელს უწევენ ბანდიტურ შენაერთებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური წარმომადგენლები არ ფარავენ, რომ ნიკარაგუის წინააღმდეგ ფაქტობრივად აწარმოებენ ომს, რომლის მიზანია დაამხონ ამ სუვერენული სახელმწიფოს მთავრობა, აიძულონ ნიკარაგუელი ხალხი უარი თქვას განვითარების მის მიერ არჩეულ გზაზე, დაემორჩილოს ამერიკის დიქტატს.

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია არა მარტო შთაგონებს და მატერიალურად უზრუნველყოფს ძირგამომთხრელ საქმიანობას ნიკარაგუის, სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, მან საერთოდ ამგვარი მოქმედება ახლა თავისი პოლიტიკის ნაწილად გაიხადა. პრეზიდენტ რეიგანის ამასწინანდელი განცხადება დამოუკიდებელი ქვეყნების წინააღმდეგ საიდუმლო ოპერაციების განხორციელების „უფლების“ შესახებ თვით ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი „სახელმწიფო ტერორიზმის“ პოლიტიკის განაცხადად მიიჩნევს.

აშკარაა ყველა იმ სახელმწიფოს აბუჩად აგდება, რომლებსაც არა ერთხელ ერთობლივად დაუგმიათ და უარყვიათ სუვერენული ქვეყნებისა და ხალხების საქმეებში ჩარევის პოლიტიკა, ცინიკური ბეგემონისტური პრეტენზიაა სჩადიოდნენ თვითნებობასა და უკანონობას საერთაშორისო საქმეებში. ვაშინგტონის პოლიტიკა და პრაქტიკული მოქმედება საერთაშორისო სამართლის ფუძემდებელი პრინციპების, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების, ჰელსინკის საბოლოო აქტის დებულებების უხეში დარღვევაა.

ნიკარაგუის მაგალითი თვალნათლივ მოწმობს, თუ რა ფასი აქვს ვაშინგტონის უბედობას თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის უფლებების შესახებ, თუ რა ზნეობრივი სტანდარტებით ხელმძღვანელობენ იქ სინამდვილეში. ყოველი უწინაზრახავი ადამიანისათვის ნათელია: თავისუფლება, დემოკრატია, ადამიანის უფლებები ახლანდელი ადმინისტრაციისათვის თავდება იქ, სადაც ხალხები თავს აღწევენ იმპერიალისტური ექსპლოატაციის ბორკილებს, აღგებიან ნამდვილად დამოუკიდებელი განვითარების გზას.

უდიდეს ფარისევლობას ავლენენ, როცა ცდილობენ საქმე ისე წარმოადგინონ, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატების თავრობა მხარს უჭერდეს პოლიტიკურ მოწესრიგებას ცენტრალურ ამერიკაში. სინამდვილეში იგი საბოტაჟს უწევს ნიკარაგუას, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების კონსტრუქციულ მეცადინეობას, თავისი პრაქტიკული მოქმედებით ცხადყოფს, რომ დაინტერესებული არ არის ამ რაიონის პრობლემების პოლიტიკური გადაწყვეტით.

ნიკარაგუის მიმართ შეერთებული შტატების მოქმედება ეს არის დანაშაული ნიკარაგუელი ხალხის წინააღმდეგ, ეს არის ლათინური ამერიკის ყველა სახელმწიფოს უშიშროებისა და სუვერენიტეტისათვის უშეალო საფრთხე, ცდა, ძალით დაიჩემონ უფლება განსაზღვრონ, თუ რა წყობილება უნდა ჰქონდეთ ამა თუ იმ ქვეყნებს, რა საგარეო პოლიტიკას უნდა ახორციელებდნენ ისინი.

ყველამ, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობა და თავისუფლება, ხმა უნდა აღიმაღლოს ნიკარაგუის სამართლიანი საქმის მხარდასაჭერად, ამრავლონ მეცადინეობა, რათა შეანელონ დაძაბულობა ცენტრალური ამერიკის რაიონში, ჩაფუშონ ვაშინგტონის საშიში გეგმები.

სსრ კავშირის მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკის შეერთებული შტატების ავრესიულ კურსს ნიკარაგუის მიმართ და აცხადებს, რომ საბჭოთა ადამიანები მუდამ სოლიდარობენ ნიკარაგუელი ხალხის სამართლიან ბრძოლას საკუთარი არჩევანით დამოუკიდებელი თავისუფალი განვითარებისათვის. ნიკარაგუის საქმეებში ჩარევა უნდა შეწყდეს.

სანიმუშოდ მოვაგვარეთ პირუტყვის გამოზამთრება

ჯერ კიდევ არ დამთავრებულა მოსავლის აღება, მაგრამ სოფლის მშრომელები უკვე ზამთრისათვის ამზადებენ საზოგადოებრივ ფერმებს.

დმანისის რაიონის, გარდაბნის რაიონის, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის, ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის მშრომელებმა, რომლებმაც გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები იკისრეს, გამოიჩინეს საყურადღებო ინიციატივა — გაშალონ რესპუბლიკის მეცხოველეებს შორის სოციალისტური შეჯიბრება პირუტყვის წარმატებული გამოზამთრების, ზამთრის პერიოდში მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და შესყიდვის გადიდებისათვის.

დმანისის რაიონის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს:

— **საზოგადოებრივ** მეურნეობებში მსხვილფეხა პირუტყვის სულადობა გაზარდონ 17.370-მდე, აქედან ძროხისა — 4.200 სულამდე, ღორისა—3.500-მდე, წვრილფეხა რქიანი პირუტყვისა — 2.500-მდე, მოქცეულისა — 12.200-მდე; აწარმოონ 1.400 ტონა ხორცი, 5000 ტონა რძე, 1.145 ათასი ცალი კვერცხი, 270 ცენტნერი მატყლი;

— საფურაჟე ძროხის წველადობა გაზარდონ 19 კილოგრამით გასულ გამოზამთრებასთან შედარებით და გაადიდონ 1.230 კილოგრამამდე წელიწადში; შეინარჩუნონ ნამატი (ას სულზე): ხბოსი — 68 სულის ოდენობით, გოჭისა — 850, ბატკნისა — 76, ერთ მოქცეულზე კვერცხმდებლობა გაზარდონ 105 ცალამდე.

— სახელმწიფოს მიჰყიდონ 2 ათასი ტონა ხორცი, 7 ათასი ტონა რძე, 1.760 ათასი ცალი კვერცხი, 535 ცენტნერი მატყლი.

ამ მაჩვენებლებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აღემატება გასული წლისას, დმანისელებს განზრახული აქვთ მიაღწიონ დარგში არსებული რეზერვების გამოყენების, შრომის პროგრესული ფორმებისა და მეთოდების დანერგვის, მტკიცე საკვები ბაზის შექმნის გზით.

პირველი ოქტომბრისათვის რაიონში წარმატებით შესრულდა უხეში საკვების დამზადების გეგმა.

გარდაბნის რაიონის სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს:

— **ბაზარდონ** მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა შარშანდელ გამოზამთრებასთან შედარებით 150 სულით, აქედან ძროხისა — 50, ცხვრისა — 100, ღორისა — 300 სულით;

— ხორცის წარმოება გაადიდონ 200 ცენტნერით, რძისა — 700, მატყლისა — 10 ცენტნერით.

— გაზარდონ სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვა 200 ცენტნერით, რძისა — 400 ცენტნერით, მატყლისა — 10 ცენტნერით; სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა გაზარდონ 360 კილოგრამამდე, რაც 13 კილოგრამით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, ღორისა — 130 კილოგრამამდე — ეს შარშანდელზე 10 კილოგრამით მეტია, ყოველი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობა გაადიდონ 250 კილოგრამით და გაზარდონ 3.000 კილოგრამამდე.

ამ მიჯნების დაძლევა გათვალისწინებულია პრაქტიკაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების, მოწინავე გამოცდილების ფართო დანერგვის, საკვები ბაზის განმტკიცების გზით. საბჭოთა მეურნეობაში შესრულდა ყველა სახეობის საკვების დამზადების წლიური გეგმა. მაგალითად, დაამზადეს 100 ტონა თივა დაგალების გადაჭარბებით, 200 ტონა სენაჟი, 500 ტონა სილოსი.

მეურნეობაში საკვების დამზადება გრძელდება.

ზუგდიდის რაიონის სოფელ კახათის კოლმეურნეობის მშრომელებმა ვალდებულება იკისრეს:

— **აწარმოონ** 342 ტონა რძე — გასული წლის გამოზამთრების მაჩვენებელზე 20 ტონით მეტი, ხორცი 66 ტონა, 6,9 ტონით მეტი გასული წლის დონესთან შედარებით.

— გამოზამთრების პერიოდში სახელმწიფოს მიჰყიდონ შარშანდელზე 23 ტონით მეტი რძე, 4,9 ტონით მეტი ხორცი;

— ყოველი საფურაჟე ძროხის წველადობა გაადიდონ საშუალოდ 100 კილოგრამით და გაზარდონ 2.200 კილოგრამამდე წელიწადში;

— გაზარდონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 575 სულამდე, წინათ გთვალისწინებული 460 სულის ნაცვლად.

მეურნეობაში შექმნილია მტკიცე საკვები ბაზა, კერძოდ, დაამზადეს გეგმით გათვალისწინებულზე 460 ტონით მეტი სენაჟი. ამზადებენ უხეშ და სხვა სახეობათა საკვებს. ყოველ პირობით სულ პირუტყვზე დაამზადებენ 28 ცენტნერ საკვებ ერთეულს, 16 ცენტნერის ნაცვლად.

სოციალისტური ვალდებულებები განიხილეს და მიიღეს დმანისის რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებებზე, სართიჭალის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატისა და სოფელ კახათის კოლმეურნეობის მშრომელთა კრებებზე.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მხუბუქი მრეწველობის სამინისტროს თბილისის №1 ტრიკოტაჟის ფაბრიკის პროდუქციის ნახევარზე მეტი ხარისხის ნიშნით გამოდის. მარტო მიმდინარე წელს საწარმოში 47 ახალი მოდელის ტრიკოტაჟის ნაწარმი დაინერგა. 9 თვის განმავლობაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონ 266 ათასი მანეთის სახელმწიფო ხარისხის ნიშნიანი პროდუქცია.

სურათებზე: კოტონ-საქსოვი საამქროს მეკოტონე ტაისი მარგველაშვილი და საამქროს ტექნოლოგი ნათელა ჭაბაშვილი ამოწმებენ პროდუქციას; ასე გამოიყურება ეროვნულ მოტივებზე შესრულებული ტრიკოტაჟის კომპლექტები „ხეხურული“ და „აჭარული“.

ფ. კრიმსკის ფოტო.

საბჭოთა ხელოვნების მაღალი მოწოდება

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ხელოვნების ოსტატთა კავშირის განმტკიცების პრობლემა სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის XXXIX სესიის მონაწილეთა ყურადღების ცენტრში. 25 ოქტომბერს სესიამ მუშაობა დაიწყო მოსკოვში.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და სოციალისტური მხატვრული კულტურის შემდგომი განვითარების ამოცანები“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა პ. ნ. დემიჩევმა.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის პრეზიდიუმის საანგარიშო მოხსენება წაიკითხა მთავარმა სწავლულმა მდივანმა ვ. მ. სისოევმა. (საკადისი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭირო და დროზე მისახედი საქმე

ეფექტიანად გამოვიყენოთ მაღალმთიანეთის ნიადაგურ-მცენარეული საფარი

საქართველოს მაღალმთიანეთი, რომელიც ალპურ და სუბალპურ ზონებს მოიცავს, წარმოადგენს რესპუბლიკური ნიადაგური საფარის „გიგანტის“, უმაღლეს ჰიბსომეტრულ სარტყელს, რომლის საერთო ფართობი მთელი ჩვენი ტერიტორიის 28,7 პროცენტია, საიდანაც 6,9 პროცენტი მუდმივ თოვლსა და ყინვარებზე მოდის.

მაღალმთიანეთს უდიდესი მნიშვნელობა აქვს მზარის ჰიდროლოგიური კლიმატის, ნიადაგდაცვის, მეცხოველეობისა და ნაწილობრივ მემინდვრეობის თვალსაზრისით.

მიუხედავად რეგიონის ასეთი დიდი და მრავალმხრივი მნიშვნელობისა, მისი ნიადაგური საფარის გამოყენება, ექსპლოატაცია, აგროტექნიკური და აგრომელიორაციული ღონისძიების ხასიათი ჯერ კიდევ არ დგას მაღალ დონეზე.

საქართველოს მაღალმთიანეთის მთელი რიგი რაიონები გადატვირთულია პირუტყვით, რაც, რა თქმა უნდა, საავარგულზე უარყოფითად მოქმედებს და დეგრადაციას იწვევს, ყუთათინი ცენოზებით ღარიბდება და სარეველანდება.

მაღალმთიანეთში, რომლის ფართობის უდიდესი ნაწილი 25-30 გრადუსი და მეტი დაქანებისაა, ზოოფაქტორის მოქმედებით (ძოვება, პირუტყვის მოძრაობით ბეენა, განსაკუთრებით გაზაფხულზე, როცა ბალახი ჯერ კიდევ არ არის წამოზრდილი და გვიან შემოდგომაზე ვეგეტაციის შეწყვეტის შემდეგ) კორდი ზიანდება, ირღვევა და იწყება ეროზია, ზოგან კი ღვარცოფული პროცესებიც ვითარდება. მაგალითად, ამის გამო კახეთის კავკასიონზე, დურუჯის სათავეებში საძოვარი საავარგულის ფართობი მცირდება.

მაღალმთიანეთის, განსაკუთრებით ალპური მთა-მდელოს ნიადაგების ზონის მნიშვნელოვანი ნაწილის მკაცრი რელიეფი და ძლიერი ხირხატანობა (ქვიანობა) საავარგულის მეოთხედზე მეტ ფართობს გამოუყენებელს ხდის და, ამავე დროს, პოტენციურად მის ახლომახლო საძოვრის ფართობის შემცირების მიზეზიც ხდება ზვავებისა და თქეშური წვიმების მოქმედების შედეგად.

ამრიგად, ერთი მხრივ, ბუნებრივი სტიქიური მოვლენებით, ხოლო, მეორე მხრივ, ანთროპოგენული ფაქტორის შეუსაბამო სამეურნეო-ზოოტექნიკური ღონისძიებების შედეგად საძოვარ-სათიბი საავარგულის ერთი ნაწილი ეროზიულ-ქსერატიზებული პროცესებით შეცვლილია მცირეუყუთიანი ფიტოცენოზებით, ხოლო მეორე ნაწილი, მუუვალი, გამოუყენებელი და დეგრადირებულია. ამის გამო მაღალმთიანეთის ნიადაგების დიდი პოტენციალის მთელი შესაძლებლობით გამოყენება ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ყოველივე ეს აყენებს საკითხს მაღალმთიანეთის მეცხოველეობისა და მემინდვრეობის საავარგულების დიდნაყოფიერი გამოყენებისათვის რაციონალურ ღონისძიებათა სისტემის შემუშავება-დანერგვის შესახებ.

მთა-მდელოს ნიადაგების მთელი კომპლექსის დაცვა და გაუმჯობესება დაკავშირებულია როგორც საძოვარ-სათიბი საავარგულის ექსპლოატაციის ორგანიზაციაზე, ისე აგროტექნიკურ და მელიორაციულ დიფერენციული ღონისძიებების განხორციელებაზე. ამათგან დიდი მნიშვნელობა აქვს საძოვრის ოპტიმალურ დატვირთვას, ძოვების ვადების დაცვას, საძოვარ-ბრუნვას, დეგრადირებულ საძოვარ-საავარგულზე 2-3 წლით ძოვების შეწყვეტას.

აგროტექნიკური ფიტომელიორაციული ღონისძიებებიდან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საძოვარზე ყუათიანი, კარგი განვითარების უნარის მქონე ბალახების შეთესვას. ამას განსაკუთრებით საჭიროებს მთა-მდელოს კორდან-კარბონატული ნიადაგები, სადაც მცენარეთა საფარში გაბატონებულია ნიგვზიძირა, რომელსაც პირუტყვი არ ეტანება.

დასავლეთიანებულ საძოვარზე შერჩევით უნდა განხორციელდეს მექანიკური და ქიმიური (ჰერბიციდებით) „ფიტომელიორაციული“ ღონისძიებანი; საავარგულის მოსავლიანობის გასაადიდებლად გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივი სასუქი — ნაკელი. ორგანული სასუქი უპირველესად უნდა შევიტანოთ მცირეჰუმუსიან დეგრადირებულ საძოვრებზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მინდვრად ჩატარებული ცდებით დამტკიცებულია აზოტიანი და ფოსფორიანი მინერალური სასუქების მაღალეფექტიანობა ამის გამო საავარგულის ყუათიანობა დაქვეითებულია, საჭიროა მოეწყოს დაშრობითი მელიორაცია და დაინერგოს სათიბ-საძოვრის ტიპის თესლბრუნვები.

ძლიერ მჭავე რეაქციის მთა-მდელოს ნიადაგების მოსავლიანობის და მცენარეთა საფარის გასაუმჯობესებლად საჭიროა განზორციელდეს შერბილებული რელიეფის ელემენტებზე გადახვნა, მოხდეს ხელოვნური დაყრუღება-გამდელოება და განხორციელდეს ქიმიური მელიორაციული ღონისძიებანი — მოკირიანება.

ზონის სუბალპურ სათიბ-საძოვრის საავარგულზე დამატებით საჭიროა სატყეო მელიორაციული ღონისძიებათა განხორციელება, უპირველესად მერქნიანების დაცვა, მათი შემადგენლობის გაუმჯობესება. ეს ღონისძიებანი, ცხადია ზონის ფიტოცენოზების ბიოეკოლოგიური და ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (ძლიერი ქარები, ზვავები და სხვ.) შესაფერისი უნდა იყოს. ხშირად ადამიანიც აუარესებს მთა-ტყე-მდელოს საავარგულის სამეურნეო ღირსებას — ჭრის მერქნიანებს ბონატული ნიადაგები, სადაც მცენარეთა საფარში გაბატონებულია ნიგვზიძირა, რომელსაც პირუტყვი არ ეტანება.

დასავლეთიანებულ საძოვარზე შერჩევით უნდა განხორციელდეს მექანიკური და ქიმიური (ჰერბიციდებით) „ფიტომელიორაციული“ ღონისძიებანი; საავარგულის მოსავლიანობის გასაადიდებლად გამოყენებული უნდა იყოს ადგილობრივი სასუქი — ნაკელი. ორგანული სასუქი უპირველესად უნდა შევიტანოთ მცირეჰუმუსიან დეგრადირებულ საძოვრებზე. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტისა და მიწათმოქმედების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ მინდვრად ჩატარებული ცდებით დამტკიცებულია აზოტიანი და ფოსფორიანი მინერალური სასუქების მაღალეფექტიანობა

მოქმედება მთა-მდელოს სათიბ-საძოვრების საავარგულებზე, განსაკუთრებით გადაძოვილ საავარგულებზე, რომლებსაც დაქვეითებული აქვთ ბიოპროდუქტიულობა.

მაღალმთიანეთის ლებიანი ნიადაგების სათიბ-საძოვარი საავარგულის ფიტოპროდუქტიულობის რაოდენობრივი და თვისებრივი გაუმჯობესების მიზნით, საღაც საკვებად გამოუსადეგარი ცენოზებად — ისლი, კორდის მახრჩობელა, სტეველნის ბაბუაწვერა და სხვა ბატონობს და ფიტოცენოზური და ნიადაგური გაუმჯობესება დიდ და ამავე დროს ფრთხილ ჩარევას მოითხოვს, რათა საჭირო ღონისძიებათა განხორციელებით ეკოსისტემის ელემენტთა შორის დამაკავშირებელ ერიზიის გამაქტიურებელი ხასიათი არ მიიღოს. ამიტომ დეკიან ფართობებზე (ტორფიანი ჭაობი) ჯეკა უნდა ამოიძირკვოს არა ერთბაშად დიდ ფართობზე, არამედ 20-40 მეტრი სიგანის ზოლებად, ბუფერული „არშიების“ დატოვებით.

ეს ბირთვული საშუალებანი განლაგდება. ორივე მთავრობის მორიგების შესაბამისად, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იწყება მოსამზადებელი სამუშაოები ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსების განლაგებისათვის. ეს იძულებითი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნით, რომ არ დავუშვათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ცდები — დაარღვიონ სტრატეგიული წონასწორობა და სტაბილურობა ევროპაში და მთელ პლანეტაზე და ამით მიიღონ სამხედრო უპირატესობა.

არ შეიძლება არ ითქვას, რომ რესპუბლიკის მაღალმთიანეთის ბუნებრივი საწარმოო ძალების დაცვასა და რეტაბელურ გამოყენებას დღეისათვის ნამდვილი პატრონი აკლია, რის გამოც ამ 30-32 წლის წინათ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათიბ-საძოვრების სამეელიორაციო ტრესტის მიერ შესრულებული გამოკვლევების საფუძველზე შემუშავებულ ღონისძიებათა უდიდესი ნაწილი არსებითად განუხორციელებელი დარჩა. ამის გამო მთიანეთში დამკვიდრებული ეფექტენსიური ექსპლოატაციის წესის შედეგად რეგიონი არასაბარბილო სამეურნეო მდგომარეობაშია.

დრო არ ითმენს, მაღალმთიანეთი ნამდვილ პატრონს მოითხოვს — იერარიული სტატუსით აღჭურვილ სრულიფუფლებიან პატრონს. ფიტოცენოზური და ნიადაგური გაუმჯობესება დიდ და ამავე დროს ფრთხილ ჩარევას მოითხოვს, რათა საჭირო ღონისძიებათა განხორციელებით ეკოსისტემის ელემენტთა შორის დამაკავშირებელ ერიზიის გამაქტიურებელი ხასიათი არ მიიღოს.

ამასთან მაღალმთიანეთში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების სათანადო გამოკვლევებს არ აწარმოებენ არც მეცნიერებათა აკადემიის და არც სამინისტროების დარგობრივი ინსტიტუტები, რაც უარყოფითს დაღს ასვამს რეგიონის დიდი ბუნებრივი პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას.

ხუთწლიანი გეგმების წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროა მაღალმთიანეთის ნიადაგურ-მცენარეული რესურსების სტაციონარულ და ნახევარსტაციონარულ დონეზე შესწავლის კვლევითი სამუშაოები გაიშალოს.

ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მინისტროსა საბჭოს მიერ დუშეთის რაიონის მაგალითზე სამთო მიწათმოქმედების მეცნიერულ საფუძვლების დამუშავების პროგრამის დამტკიცებას.

ეს პროგრამა ითვალისწინებს შესაბამისი უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების მიერ სამთომიწათმოქმედების საკითხებზე კვლევითი მუშაობის გააქტიურებას, რომელსაც საკავშირო სამთო მიწათმოქმედების საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს.

დროა, წინანდელი პასპორტიზაციის მასალების კორექტირება (ზოგან, ალბათ, განმეორებითი გამოკვლევები იქნება საჭირო), მოხდეს, დამუშავდეს ეს მასალები და შედგეს მაღალმთიანეთის მოცალ-მეთვალყურეობის სადღეისო პროექტი, რომელიც დამტკიცდება და შესასრულებელი კანონის სახეს მიიღებს.

ამასთან მაღალმთიანეთში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების სათანადო გამოკვლევებს არ აწარმოებენ არც მეცნიერებათა აკადემიის და არც სამინისტროების დარგობრივი ინსტიტუტები, რაც უარყოფითს დაღს ასვამს რეგიონის დიდი ბუნებრივი პოტენციალის რაციონალურ გამოყენებას.

ხუთწლიანი გეგმების წარმატებული რეალიზაციისათვის საჭიროა მაღალმთიანეთის ნიადაგურ-მცენარეული რესურსების სტაციონარულ და ნახევარსტაციონარულ დონეზე შესწავლის კვლევითი სამუშაოები გაიშალოს.

ამ მხრივ საგანგებო მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს კომპარტიისა და რესპუბლიკის მინისტროსა საბჭოს მიერ დუშეთის რაიონის მაგალითზე სამთო მიწათმოქმედების მეცნიერულ საფუძვლების დამუშავების პროგრამის დამტკიცებას.

ეს პროგრამა ითვალისწინებს შესაბამისი უწყებების, სამეცნიერო-კვლევითი და სასწავლო ინსტიტუტების მიერ სამთომიწათმოქმედების საკითხებზე კვლევითი მუშაობის გააქტიურებას, რომელსაც საკავშირო სამთო მიწათმოქმედების საკოორდინაციო საბჭო უხელმძღვანელებს.

პროგრამის განხორციელებისათვის პრაქტიკული ნაბიჯები უკვე გადადგმულია. წინასწარი სარეკოგნოსცირო სამუშაოები შესრულებულია [illegible] ონში შერჩეულ პოლიგონებზე, მუშავდება ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისა და ეროზიის წინააღმდეგო — ნიადაგდაცვის ღონისძიებათა სისტემა, მრავალწლოვანი ნარგავების აგროტექნიკა, ტყის ჯიშების ბიოპროდუქტიულობის გადიდების ღონისძიებანი, სამთო მიწათმოქმედების მექანიკა-ენერგეტიკისა და ტექნოლოგიური პროცესების კომპლექსი. მთიანეთის რაიონების აგროსამრეწველო კომპლექსის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება-მართვის პრობლემები, კვლევითი მუშაობის მონაცემები განზოგადდება და მიეესადაგება რეგიონის სხვა რაიონების პირობებს.

და, ბოლოს, საქართველოს მაღალმთიანეთი, დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობის ნიადაგ-მცენარეული რესურსების რეგიონი, რომელსაც რესპუბლიკის ეკონომიკისათვის, საერთოდ, და, კერძოდ, მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მოითხოვს მეცნიერულ საკითხთა დიფერენციულ შესწავლას. ამისათვის მეცნიერებათა აკადემიისა და რესპუბლიკის შესაბამისმა ინსტიტუტებმა რეჟიმულ-სტაციონარული კვლევის მეთოდების გამოყენებით ფართო მასშტაბის კვლევითი მუშაობა უნდა გასწიონ.

გ. ტალახაძე,
პროფესორი;
კ. მინდელი,
დოცენტი.

25 ოქტომბერი
ეროვნული
ფაქტები
მოვლენები
საკვლევი
იუწყება

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

პრაღა. **იმასთან დაკავშირებით, რომ გრძელდება ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბლოკის მზადება დასავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში საშუალო სიშორის ახალი ამერიკული ბირთვული რაკეტების განლაგებისათვის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობას არაერთგზის განუცხადებია, თუ რა საშიშია ამ გეგმების განხორციელება ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი მოკავშირეების, ევროპის უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობისათვის, ნათქვამია დღეს აქ გავრცელებულ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში.** ამასთან დაკავშირებით ჩვენს მხარეს არაერთხელ განუცხადებია, რომ თუ ნატო ამ გეგმებს განახორციელებს, მივიღებთ შესაბამის პოლიტიკურ და სამხედრო ზომებს თანასწორობისა და თანაბარი უშიშროების პრინციპის საფუძველზე.

ვიღებთ რა მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უკვე ამთავრებს „პერშინგ-2“ ბალისტიკური რაკეტებისა და დიდი სიშორის მიწისზედა ბაზირების ფრთოსანი რაკეტების განლაგებისათვის ნატოს წევრი დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე, საბჭოთა კავშირი, საბჭოთა კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებს წამოყენებული აქვთ მრავალი წინადადება, რომლებიც ძალაში რჩება და რომელთა მიზანია წინსვლა დაძაბულობის შენელების, შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღების გზით.

იმასთან დაკავშირებით, რომ შეერთებული შტატები ამთავრებს მზადებას „პერშინგ-2“ ბალისტიკური რაკეტებისა და დიდი სიშორის მიწისზედა ბაზირების ფრთოსანი რაკეტების განლაგებისათვის, ეს იძულებითი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნით, რომ არ დავუშვათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ცდები — დაარღვიონ სტრატეგიული წონასწორობა და სტაბილურობა ევროპაში და ამით მიიღონ სამხედრო უპირატესობა.

ეს ბირთვული საშუალებანი განლაგდება. ორივე მთავრობის მორიგების შესაბამისად, ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე იწყება მოსამზადებელი სამუშაოები ოპერატიულ-ტაქტიკური დანიშნულების სარაკეტო კომპლექსების განლაგებისათვის. ეს იძულებითი ნაბიჯი გადაიდგა იმ მიზნით, რომ არ დავუშვათ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ცდები — დაარღვიონ სტრატეგიული წონასწორობა და სტაბილურობა ევროპაში და მთელ პლანეტაზე და ამით მიიღონ სამხედრო უპირატესობა.

ეს ბირთვული საშუალებანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ცდები — დაარღვიონ სტრატეგიული წონასწორობა და სტაბილურობა ევროპაში და მთელ პლანეტაზე და ამით მიიღონ სამხედრო უპირატესობა.

ეს ბირთვული საშუალებანი ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს ბლოკის ბირთვული საშუალებანი ევროპაში,

ტვირთზიდვის გეგმები კანონად

საქა ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის განყოფილების მოძრავი შემადგენლობის გამოყენ ებ ის ეფექტიანობის საკითხი განიხილა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისიამ.

კომისიამ აღნიშნა ბოლო ხნის მანძილზე რკინიგზის განყოფილების მუშაობაში მომხდარი დადებითი ძვრები და აუარაფდება მიაპყრო მგზავრთა გადაყვანისა და ტვირთზიდვის ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს. აღინიშნა, რომ მატარებლის საშუალო წონისა და ლოკომოტივების საშუალო სადღეღამისო გარბენის დავალებების, აგრეთვე ტექნიკური და საუბნო სიჩქარის ნორმების შეუსრულებლობას მოჰყვა ნაყოფიერების ნორმების შეუსრულებლობა, ტვირთზიდვის ღირებულების გადიდება. შესამჩნევად გაიზარდა ვაგონების მოცდენა სამრეწველო საწარმოებისა და ორგანიზაციების მისასვლელ გზებზე. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მგზავრების სანიტარიულ-ტექნიკურ და კულტურულ მომსახურებაში, რაც სამართლიან საყვედურებს იწვევს.

თბილისის რკინიგზის განყოფილების მუშაობა მოძრავი შემადგენლობის გამოყენებისათვის კომისიამ არასაკმარისად ცნო. მიღებულ დადგენილებაში ჩამოყალიბებულია კონკრეტული რეკომენდაციები რკინიგზის ტრანსპორტზე სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის, მგზავრთა გადაყვანისა და სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის გეგმების შესრულების უზრუნველყოფის, შრომის, საწარმოო და ტექნოლოგიური დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

შესაბამისი რეკომენდაციები მიეცათ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს, ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს. სახალხო დეპუტატთა რაიონულ და საქალაქო საბჭოებს წინადადება მიეცათ მუდმივი კონტროლი დაუწესონ ვაგონების მოცდენის ნორმების შემცირებას, საწარმოებისა და ორგანიზაციების, მათს ტერიტორიაზე მდებარე მომსახურე სადგურების მიერ ვაგონების დროულ გადმოტვირთვას. მათ ფართოდ უნდა ჩაიბან ამ მუშაობაში საბჭოების დეპუტატები, მუდმივი კომისიები, შექმნან სადგურებზე დეპუტატთა საგუშაგოები.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ბ. ბარსუკოვმა.

მექანიზატორების ზრუნვა სჭირდებათ

მექანიზატორი სოფლად ცენტრალური ფიგურაა, იმაზე, თუ როგორი შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობები აქვს შექმნილი, რამდენად მაღალია მისი კვალიფიკაცია, დამოკიდებულია წარმატებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. წითელწყაროსა და გალის რაიონებში ეს წარმატებები უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, იქ რომ სათანადოდ ზრუნავდნენ მექანიზატორებისათვის. ასეთი დასკვნა გამოიტანეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ახალგაზრდობის საქმეთა შუდმივი კომისიის წევრებმა, რომლებმაც განიხილეს ეს საკითხი თავიანთ სხდომაზე.

კომისიამ აღნიშნა, რომ ამ რაიონებში მექანიზატორთა პროფესიული ოსტატობის ამაღლებას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ჯეროვნად არ ზრუნავენ წარმოებაში მათი დამკვიდრებისათვის. მთელ ფიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საკმარისად არ იყენებენ დებულებას მექანიზატორთა შრომის ანაზღაურების, მორალური სტიმულირების შესახებ. ასამაღლებელია მათი არა მარტო შრომის, არამედ ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის დონეც. მეტ წილ შემთხვევებში დაძაბული სამუშაო დღის შემდეგ მექანიზატორებს არა აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ საშხაპეებით. საველე ბანაკებში არ მიაქვთ პირველი საჭიროების საქონელი, აქ აშვიათად ეწყობა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი. ყოველივე ეს კი იწვევს მექანიზატორთა კადრების ნაკლებობას, მათს დიდ დენადობას. კომისიამ წარმოებაში მექანიზატორთა კადრების დამკვიდრებისათვის წითელწყაროსა და გალის რაიონსული საბჭოების აღმასკომებს მუშაობა არასაკმარისად ცნო და მიიღო შესაბამისი დადგენილება. ამ და სხვა რაიონების აგროსამრეწველო გაერთიანებებს, რესპუბლიკის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების ყველა აღმასკომს, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს, სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს მიეცათ მითითება, რომ საჭიროა სათანადოდ იზრუნონ მექანიზატორთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა თავმჯდომარემ დეპუტატმა ნ. ლაღიძემ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

(საქინფორმი).

ერეკლე მეორე

XVIII საუკუნის რუსულ პრესაში

მთავარი პოლიტიკური არსი გეორგიევსკის ტრაქტატისა, რომელმაც მომდევნო ხანაში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის მერმისი, ის არის, რომ საერთაშორისო იურისდიქციის საფუძველზე იგი ახალ ფორმას აკანონებდა არა მხოლოდ და არა იმდენად საქართველოს რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობისას, რამდენადაც აგრესიულად განწყობილ მეზობელ მუსლიმანურ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი ირანსა და თურქეთთან. რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების ძალით ქართულ-კახეთის სამეფო თავს აღწევდა ამ ორი მოქიშპე ახლო-აღმოსავლური სახელმწიფოს მიერ საუკუნეთა მანძილზე თავსმოხვეული პოლიტიკური მეურვეობას და თავის სვე-ბედს მძლავრ და ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელ ქვეყანას უკავშირებდა, რომელთანაც ოდითგანვე კეთილგანწყობილი, მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა.

გვიანფეოდალური საქართველოს საგარეო პოლიტიკისათვის დამახასიათებელმა ამ კარდინალურმა ტენდენციამ, როგორც ცნობილია, ბევრად ადრე იჩინა თავი გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე, მაგრამ განსაკუთრებით მკაფიოდ — XVIII საუკუნის 50-იანი წლებიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოებს მესვეურებად ისეთი გამჭრიახი პოლიტიკოსები მოევლინენ, როგორიც კახელ ბაგრატიონთა შთამომავალნი თეიმურაზ მეორე და ერეკლე მეორე იყვნენ. ქართულ ისტორიოგრაფიას ამ ფაქტის დადასტურებელი არაერთი წყარო მოუპოვება, მაგრამ სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ამ დროის რუსული პერიოდული პრესა, კერძოდ, ცნობილი ოფიციოზი „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტი“, რომელიც საკმაოდ დიდ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა პრობლემატიკის გაშუქებას.

აღსანიშნავია, რომ ღიდან დაარსებისა ამ რუსულ გაზეთში თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე (1728-1750 წ. წ.) გამოქვეყნებული მასალებიდან საქართველოს შესახებ ამოკრეფილი ცნობები ძირითადად ვახტანგ მეექვსეს, მის შვილებსა და მრავალრიცხოვანი ამალის ცალკეულ წარმომადგენლებს შეეხება. მომდევნო პერიოდის შინაარსი „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტისა“, სადაც კი საქართველოს შესახებ ცნობებია დამოწმებული, დაახლოებით 1752 წლის დასაწყისიდან მნიშვნელოვანწილად ერეკლე მეორეს და მის საბრძოლო მოღვაწეობას უკავშირდება. ეს გასაგებიცაა: 1749 წლიდან კახეთის სამეფო ტახტს დაუფლებულმა ირაკლი თეიმურაზის ძემ ამ დროისათვის, როგორც გაზეთის შინაარსიდანაც დასტურდება, საკმაოდ გაითქვა სახელი არა მხოლოდ კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც. ამ მხრივ მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ რუსეთის ოფიციოზის ფურცლებზე ერეკლეს შესახებ გამოქვეყნებული მასალა ძირითადად დასავლეთ ევროპის გზით მიღებულ ინფორმაციას ემყარება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შინაარსი „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტოში“ გამოქვეყნებული კორესპონდენციებისა, საიდანაც ირკვევა, რომ ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ ერეკლე მეორე გარკვეული პერიოდის განმავლობაში ყველაზე რეალური პრეტენდენტი იყო შაჰის გარშემო დარჩენილი სპარსეთის სამეფო ტახტის დაუფლებისა. ისეთ ვითარებაში, როდესაც ნადირის მიერ ტახტიდან გადაყენებული, ტყვედ-ქმნილი და შემდეგ გარდაცვლილი სეფიანი თამაზ (თახმასპ) შაჰის არაერთი (კანონიერი თუ უკანონო) შთამომავალი პრეტენზიას აცხადებდა შაჰის ტიტულზე, სპარსეთის საშინაო საქმეებში ერეკლე ქმედითად ჩარეულისთვის ფორმალურად ხელშემწყობი უნდა გამხდარიყო მისი ნათესაობა ნადირ შაჰის ძმისწულ ალი ყული ხანთან, რომელსაც ერეკლეს და ჰყავდა ცოლად. ალი ყული ხანს სხვა პრეტენდენტებთან შედარებით მეტი საფუძველი ჰქონდა სპარსეთის ტახტზე ასასვლელად და აკი დაიკავა კიდეც იგი ბიძის შემდეგ პირველმა ადილ შაჰის სახელით, მაგრამ ერთობ მცირე ხნით: იგი დაამხო შურით გამსჭვალულმა მისმა ძმა იბრაჰიმმა, რომელიც თავის მხრივ მსხვერპლი გახდა ნადირ შაჰის სხვა შთამომავალთა ინტრიგებისა (ცნობილია, რომ ნადირ შაჰის ორივე ძმისშვილი სიკვდილით დასჯა მისმა შვილიშვილმა შაჰ-შარმა, რომელიც ერეკლეს თანატოლი იყო და მასთან ერთად იზრდებოდა სპარსეთის სამეფო კარზე). საფიქრებელია, რომ სწორედ ადილ შაჰის დამხობა (მისი სიკვდილით დასჯამდე) ფორმალური საბაბი გახდა ერეკლეს სპარსეთს გალაშქრებისა (სიძისათვის სამხედრო დახმარების აღმოჩენის მიზნით), რამაც ესოდენ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია.

ამდენად, დასავლეთ ევროპის გზით „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტოში“ შეღწეული ინფორმაცია ერეკლეს სპარსეთში გალაშქრების თაობაზე უსაფუძვლო როდია, ოღონდ ერთგვარად გაზვიადებულად ჩანს სათანადო საგაზეთო მასალაში ერეკლეს მხრივ შაჰის ტახტის მაძიებლობის შესახებ საკითხის წინ წამოწევა და საგანგებო გახაზვა. ამ ფაქტს ობიექტურად ასახსნელად სამი გარემოება გასათვალისწინებელი: 1. ერეკლეს პრეტენდენტობა შაჰის ტიტულზე, ანე ვთქვათ, კანონიერი გზით ანუ „ვალის“ ინსტიტუტის მეშვეობით სპარსეთში იმხანად არსებულ პოლიტიკურ ვითარებაში, ეფუჭრობთ, ერთობ არამყარი უნდა ყოფილიყო; 2. ნადირ შაჰის მაგალითით რომ ეხელმძღვანელა და სპარსეთის ტახტის უზურპაცია მოეხდინა, ერეკლეს სათანადო სამხედრო ძალა არ გააჩნდა (გაზეთის ცნობით, მისი ლაშქარი 30 ათას კაცს არ აღემატებოდა); 3. მეტად ანგარიშგასაწევი ის მოსაზრება ჩანს, რომ ერეკლეს — უძველესი ტრადიციების მქონე ქრისტიანული სახელმწიფოს მართლმადიდებელ მეფეს — არც უნდა ჰქონოდა პოლიტიკური მიზანსწრაფვა სპარსეთის ტახტის დასაკავებლად, რადგან მისი განხორციელება ქართველი ხალხის ცხოვრებაში არასასურველ ძირეულ გარდაქმნათა საწინდარი უნდა გამხდარიყო.

ამ დაეჭვების საფუძვლიანობას გაზეთის მომდევნო წერილების შინაარსიც ადასტურებს: ჰიპოთეზური (ყურმოკრული) ხასიათის ინფორმაცია სპარსეთის ტერიტორიაზე ერეკლეს საბრძოლო მიღწევებისა და პოლიტიკური მიზნების შესახებ თანდათან ადგილს უთმობს რეალისტური, ფაქტობრივად დახვეწილი შინაარსის „კორესპონდენციებს. მათს საფუძველზე, გაეკვა აზრით, იმ უტყუარი დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ერეკლეს შეუპოვარი ბრძოლა სპარსეთის ტახტის მაძიებელთა წინააღმდეგ ერთ ძირითად მიზანს ემსახურებოდა: სეფიანთა დინასტიის სრული დაცემისა და მის მიერ შექმნილი იმპერიის აშკარა დეგრადაციის ვითარებაში ქართლისა და კახეთის სამეფოთა განუხრელ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მომძლავრებას. თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის სკიპტრთა ქვეშ სათავე უნდა დაედო აღმოსავლეთ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის სპარსეთის მიმართ — შინაარსობრივად ახალი ეტაპისათვის ამ ორ ქვეყანას შორის ტრადიციულად არსებულ ურთიერთობათა ისტორიაში.

ამ მიზნის მისაღწევად ზედმიწევნით ხელსაყრელი პირობები შეიქმნა, როდესაც ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ სპარსეთის ტახტის მაძიებელთა შორის ვერც ერთი ვერ გაუტოლდებოდა ერეკლე ხანს — ნადირ შაჰის მიერ აღზრდილსა და მასთანვე ბრძოლებში გაკაჟებულ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა „გურჯისტანის ვალის“, გვიანდელი დროის ადგილობრივი რუსული ოფიციოზის „ტფილისკიე ვედომოსტის“ ერთ-ერთ ნომერში (იხ. № 24-26, 1831, გვ, 8). ამ მოსაზრების დამადასტურებლად შემდეგია ნათქვამი: „ოდესაც ნადირ შაჰმა 1735 წელს თბილისი აიღო და თურქები საქართველოდან განდევნა, ქვეყნის მმართველობა ბაგრატიონთა შთამომავალს, კახეთის მეფე თეიმურაზს ჩააბარა. მორჩილების საწინდრად კი ნადირმა მძევლად მისი მემკვიდრე ვაჟი ეთვინა ირაკლი წაიყვანა, რომელიც ამ დიდი (მეომრისა და) დამპყრობლის ხელში გაიზარდნა, მისი საყვარელი მოწაფე გახდა და შემდგომ დიდებით მეფობდა თავის სამშობლოში.

ნადირ შაჰის სიკვდილის შემდეგ, რომელიც მუხანათურად მოაშთეს 1747 წელს, საქართველომ ისარგებლა სპარსეთში წამოწყებული ახალი ამბოხებით და თავისი **დამოუკიდებლობა** (ავტორის ხაზგასმა) აღიდგინა.

1760 წელს თეიმურაზ მეფე რუსეთს წავიდა და მეფე ერეკლე მეორემ, რომელიც მანამდე (აღმოსავლეთ) საქართველოს სამეფო ტახტს მასთან იყოფდა, დაიმკვიდრა იგი და ქვეყნის ერთპიროვნული მბრძანებელი გახდა. მისი მეფობის დასაწყისი უბრწყინვალესი იყო. ეს ხელმწიფე მამაცურად იგერიებდა საქართველოს მტრების ყველა თავდასხმას და დაუღალავად იღვწოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის. მისი მრისხანე სახელი შიშის მომგვრელი იყო გარეშეთათვის და სათაყვანებელი — თანამემამულეთათვის“.

ამგვარად, ერეკლეს პოლიტიკური მიზნები XVIII საუკუნის 50-იანი წლების დამდეგს სპარსეთში ლაშქრობისას და უფრო გვიანაც ბევრად უფრო ლოკალური და „მოკრძალებული“ ხასიათისა იყო, ვიდრე ამავე პერიოდის რუსული ოფიციოზის რედაქცია ცდილობდა მიეწერა მისთვის. „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ სათანადო ნომრებში სპარსეთის ტახტზე ერეკლეს პრეტენდენტობის შესახებ გამოქვეყნებული მასალის გარკვეულ ტენდენციურობას თავისი ახსნა აქვს. ვფიქრობთ, რომ ერეკლეს შესახებ ასეთი აზრის დამკვიდრებასა და განმტკიცებას ახლო აღმოსავლეთში, ხოლო შემდგ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ხელი შეუწყო მისმა, როგორც სახელმწიფო მოღვაწისა და, განსაკუთრებით, მხედართმთავრის პირადმა თვისებებმა. ჩვენი აზრით, შემთხვევითი როდია, რომ რუსული ოფიციოზის რედაქცია არაერთგზის ცდილი პარალელი გაევლო ერეკლესა და ნადირ შაჰს შორის, იგი ხაზს უსვამდა ამ ორი მოღვაწის გარკვეულ მსგავსებას პოლიტიკურ და სბრძოლო საქმიანობაში, ორივეს რაინდულ შემართებას, დიდ გავლენას ხელქვეითებზე, სიმტკიცესა და პირად სიმამაცეს.

პირველი ცნობა, სადაც ერეკლე მეორეა მოხსენიებული, „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ 1752 წლის 3 მარტის ნომერშია (№ 18) გამოქვეყნებული. აქ ნათქვამია:

„სპარსეთიდან მიღებულ უახლეს წერილთა ძალით, ქართველი ბატონიშვილი ირაკლი აქამომდე ბედნიერად ბრძოლებს თავის პროგრესულ წინსვლას (სპარსეთის მიწა-წყალზე). ამ დროს პორტა (თურქეთი—ჯ. ვ.) არავითარ სუვრაილს არ აძლევენებს, რათა წინ აღუდგეს მის დამპყრობლურ მისწრაფებას, რადგან ჯერ ის ვითარება არ არის, იგი ამ საქმეში რომ ჩაერიოს. იმედოვნებენ, რომ ირაკლი პირდაპირ ისპაანისაკენ გაეგმართა და რომ შაჰ დოუბს, რომელიც იქ თავისი ჯარითაა ჩაკეტილი, განზრახული აქვს ირაკლის მოახლოებისას ცეცხლი წაუკიდოს დასახელებულ სატახტო ქალაქს და მთებში გაიხიზნოს. ამიტომ ეს დიდებული დედაქალაქი სპარსეთის შაჰებისა, რომელიც აბას დიდმა ასე საფუძვლიანად შეალამაზა, მალე, შესაძლოა, სრულად გაპარტახდეს, რადგან იგი უკვე რამდენჯერმე იყო გაძარცული ამ შემდეგ, რაც სპარსეთი გრძნობს უთავკაცობის საშინელ შედეგებს“.

გაზეთის იმავე წლის მარტით და აპრილით დათარიღებულ მომდევნო კორესპონდენციებში საუბარია სპარსეთში არსებულ შფოთსა და შინაარეულობაზე, რაც, ავტორის რწმუნებით, ხელს უწყობდა ერეკლეს მიზნების გაჩხრეკილებას:

„თითქმის ყოველმა პროვინციამ (სპარსეთისა) თავისი საკუთარი შაჰი აირჩია. ქართველმა მთავარმა ირაკლიმ ეს აღრეულობა ისერი-გად გამოიყენა თავის სასარგებ-ლოდ, რომ უკვე სრულად შეპარტყა თავისი ჯარით ალაა ისპაანს, და, აქედან გამომდინარე, დიდი იმედი აქვს დროთა განმავლობაში სპარსეთის ტახტზე ასვლისა“ (1752, № 23).

სპარსეთის ტახტის მაძიებელთა შორის თავისი სიძლეერით, როგორც გაზეთის შინაარსიდან ჩანს, ჯერ ვიზმე შაჰ დოუბი გამორჩეულა, რომელიც ერეკლეს დაუპირისპირდა. მაგრამ ქართველთა ლაშქრის მოახლოებას ისე შეუშინებია დოუბი, რომ სპარსეთის დედაქალაქის მეტოქისათვის დათმობა და ერეკლისთვის თავის შეფარება გადაუწყვეტია. ეს შოვლენები შემდეგნაირად არის გადმოცემული „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ 1752 წლის 10 აპრილის ნომერში (№ 29):

„ვენეციიდან, 22 მარტი. კონსტანტინოპოლიდან მიღებული წერილების მიხედვით, იქ სპარსეთიდან გაგზავნილი მალემსრბოლი ჩასულა უწყებით, რომ შაჰ დოუბს ბატონიშვილ ირაკლის ჯარის მიახლოების გამო, გადაწყვეტილება მიუღია დატოვოს ისპაანი და თავი ერევანს შეაფაროს. მას თანა აქვს ირანის ადრინდელ შაჰთა მიერ დაგროვილი განძეულობა და აგრეთვე ის სიმდიდრე, რომელიც თაჰმასპ ყული-ხანმა (ნადირ შაჰი იგულისხმება — ჯ. ვ.) დიდ მონღოლეთში (ინდოეთში) მოიხვეჭა, მათ შორის ბაჯაღლო ოქროსაგან შრასხმული სამეფო ტახტრევანიც. ამავე წერილებში აღნიშნულია, რომ შაჰ დოუბის არმიის უცნობელსმა ოფიცრებმა არ ურჩიეს მის ისპაანიდან უკან დახვევისას მისი ცეცხლს მიცემა. ამრიგად ეს უბედური ქალაქი ჯერჯერობით ჯერისკაცებს დარჩით გასაძარცვავად. ამავე წერილებიდან ჩანს, რომ ბატონიშვილ ირაკლის წარმატება პორტას არცთუ დიდად სიამოვნებს, და რომ იგი დიდი გულდასმით ადევნებს თვალს სპარსეთის ტახტის ამ ახალი მაძიებლის საქციელს“.

საგულისხმოა ზემოთ ციტირებული კორესპონდენციის დასკვნითი ნაწილი, სადაც ის აზრია გატარებული, რომ თურქეთი ერეკლეს სამხედრო მიღწევებს სპარსეთის ტერიტორიაზე ეშვის თვალით უყურებდა. თურქეთის მხრივ ერეკლეს მიმართ ასეთი დამოკიდებულება ალბათ იმას გულისხმობდა, რომ სპარსეთის შაჰად ისეთი ძლიერი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის აღზევება, როგორიც ნადირ შაჰის მიერ ბრძოლებში გამოწრთობილი ერეკლე იყო, სრულიად არ შეესაბამებოდა სულთანის ინტერესებს: უკანასკნელს კარგად ახსოვდა, რა დიდი დანაკარგი მოუტანა თურქეთს ნადირ შაჰთან ლაშქრობებმა.

მაგრამ საინტერესო ის არის, რომ ერთ-ერთ მომდევნო კორესპონდენციაში (1752 წ. 1 მაისი, № 35) „სანკეტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტის“ რედაქცია სრულიად მოულოდნელად საწინააღმდეგო ვარაუდს გამოთქვამდა, რომლის მიხედვით სპარსეთში ერეკლეს სამხედრო წარმატებაში თითქოსდა თურქეთის ხელი ერია. ამ მოსაზრებით გაზეთის რედაქცია ცდილობდა აეხსნა ის, ერთი შეხედვით, ძნელად ასახსნელი გარემობა, რომ შედარებით მცირერიცხოვანი ლაშქრით ერეკლემ ყაზღაშებთან ბრძოლებში ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. ეს კორესპონდენცია იმითაც არის საინტერესო, რომ ერთდროულად რუსული ოფიციოზის პირველ ცდას წარმოადგენს შეაჯამოს და ერთგვარი შეფასება მისცეს სპარსეთში ერეკლეს ბრძოლების შესახებ გაზეთის ფურცლებზე ადრე გამოქვეყნებულ საინფორმაციო მასალას.

ამ კრიტიკული კორესპონდენციის შინაარსს ქვემოთ სრულად გადმოვცემთ: „სმირნიდან მიღებული 18 მარტის წერილის (შინარსის) ექსტრაქტი. ცნობილი ქართველი პრინცის ირაკლის სამხედრო მოქმედება სპარსეთში არც იმდენად მნიშვნელოვანია, როგორც ამის შესახებ ევროპაში ავრცელებენ ხმას. ჭეშმარიტი ვითარება შემდეგია: სხვადასხვა დაჯგუფებამ, რომლებადაც უბედური სპარსელები დანაწილებულ ყოფილან, ერთ-ერთ ასეთ ჯგუფს ალი ყული ხანი ედგა, ეს ბოლო ბრძოლაში ბედნიერ-ებულ ირაკლის ეომებოდა. ალი ყული ხანი ბრძოლის ველიდან ერევნისკენ გაიქცა, ირაკლი ალაყელ-ალაზანზე ბანაკ-ადგა,

ხალხურ ფინანსიერებლთა ბაზალეთი

სერგო ცირკიძის ცხოვრების წესი

ქართველ კაცს უთქვამს და სამართლიანადაც უთქვამს, მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო. მაგრამ ანდაზას არასოდეს არა აქვს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა. ყოველ შემთხვევაში, არ იქნება მართალი, თუ მარტოკაცის ძალასა და შესაძლებლობებს დავაკნინებთ.

ერთ კაცსაც ძალიან ბევრის გაკეთება ძალუძს. მარტო თავისი მარჯვენისა და გონების ძალით კი არა, მას გაყოლებაც შეუძლია თანამოძმეებისა, ამოძრავებაც, ენთუზიაზმის ჩანერგვაც, ნაღდი საქმის საკეთებლად გაძღოლაც და სიძნელეებთან ბრძოლაში თავისიანების გამხნევებაც.

ერთი ხანობა მეტისმეტად გავრცელდა პანეგირიკები უსახო კოლექტივის მიმართ, რამაც მაინცდამაინც ხეირი როდი მოგვიტანა. იცოცხლეთ, კოლექტივი და კოლექტიური აზრი კარგია, მაგრამ კოლექტივი ხომ ცალკეული ადამიანებისაგან შედგება!

აი, რაზე ვფიქრობდი, როცა ამბროლაურიდან შინ ვბრუნდებოდი ერთ ჩემს თბილისელ მეგობართან ერთად. თვალწინ მიდგა ერთი ჩვეულებრივი, უპრეტენზიო კაცი, რომელიც ფუტკარივით შრომობს დღენადაგ და ამ შრომაში პოულობს თავისი არსებობის უზენაეს აზრს.

იგი, რა თქმა უნდა, მარტო არ არის. თვით დარგი, რომელშიც იგი იღვწის, გულისხმობს ერთობლივ, შეერთებულ მუშაობას. ეს არის უფაქიზესი და უდიდესი ამქვეყნიერ საქმეთაგან — სამშობლოს ხვალინდელი დღის, მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდა, დაფრთიანება, დიდი ცხოვრების გზაზე გამოყვანა. ახლა, როგორც არასდროს, ჩვენს სამშობლოს სჭირდება არა უბრალოდ განათლებულ-განსწავლული, არამედ მაღალი ზნეობითა და შამფულიშვილური მგზნებარებით შადლცხებული ადამიანები. ვინ უნდა გამოზარდოს ისინი? პირველ ყოვლისა, სკოლამ. ვინ უნდა ალარულოს განათლების სისტემისა და სკოლის ფარგლებში ეს უდიდესი და ზედმიწევნით პასუხსაგები მისია? რა თქმა უნდა, მასწავლებელმა.

ეს ანბანური ჭეშმარიტებაა, მაგრამ ისეთი ჭეშმარიტება, რომლის განმეორება აროდეს გვიზამს ზიანს, რამეთუ ყოველი მშრომელი სწორედ სკოლასა და მასწავლებელს აბარებს ყველაზე ძვირფასსა და ახლობელს — საკუთარ შვილს და ამით მასწავლებელს აკისრებს წარმოუდგენლად დიდ ვალს ოჯახის, სამშობლოს, ხალხის წინაშე.

ეტყობა, სკოლა, მასწავლებელი ისეთი თემაა, რომელიც განყენებული მსჯელობისათვის განგვაწყობს. მაგრამ ამჯერად ზემოთქმულის საილუსტრაციოდ მინდა ერთი ღირსეული კაცის, ამბროლაურის განათლების განყოფილების ცხოვრება გაგაცნოთ.

სკოლა, მოგეხსენებათ, რა რთული და ფაქიზად მოსაგლელი მექანიზმია. ახლა მთელი რაიონის საგანმანათლებლო სისტემა წარმოიდგინეთ და მერე მისი გამართული, უხინჯო და საათივით აწყობილი მართვა. ესეც ამბროლაურის რაიონმე ითქმება და, უწინარეს ყოველისა, ამ რაიონის განათლების განყოფილების თავკაცის მისამართით.

როგორც ხედავთ, სათქმელი პირდაპირ ითქვა, რადგანაც ჩვენი მიზანი სულ არ არის ქება-დიდების შემდეგ „ცალკეულ ნაკლოვანებათა“ გამომზეურება და გაკრიტიკება. რაც არ არის გასაკრიტიკებელი და საკირკიტო, რაღად გამოვიგონოთ და თითიდან გამოვწოვოთ.

შეიძლება მკითხველმა იკითხოს, კრიტიკას თავი დავანებოთ, მაგრამ ისე როგორ მოაწყო და გამართა საქმე ამ კაცმა, გასაკეთებელი არაფერი ედოს წინო. მჯობნს მჯობნს რა გამოელვს, საქმიან კაცს საქმეს რა გამოუღევს. ამა თუ იმ დარგს შემდგომი გაუმჯობესება რომ არაფერს დააკლებს, ამას ვინ უარყოფს, მაგრამ კეისარს კეისრისა უნდა მივაგოთ და არსებული პირობებისა და შესაძლებლობეულია და ამით დღესდღეობით ცოტა ვინმეს თუ გაკვირვებ, მაგრამ გავითვალისწინოთ მთიანი რაიონის სპეციფიკა, აქედან გამომდინარე ობიექტური თუ სუბიექტური სიძნელეები, ძნელად მისადგომი სოფლების პირობებიც და, ალბათ, მაშინ უფრო გასაგები გახდება, რას ნიშნავს ამბროლაურისთანა კუთხისთვის სავალდებულო საშუალო განათლების ასპროცენტიანი შესრულება. ამას ისიც დავუმატოთ, რომ მეზობელი წელია, ამბროლაურის სკოლებში არ იციან, რა არის მოსწავლის რომელმე კლასში დარჩენა. ერთი სიტყვით, როგორც პროფესიონალები იტყვიან, აქ „სრული მოსწრებაა“.

სერგო ცირკიძე ბევრს ზრუნავს სოფელში ახალგაზრდობისათვის სათანადო პირობების შესაქმნელად. ეს იმას ნიშნავს, რომ აქ ბავშვს სიყრმის ასაკიდანვე უნერგავენ შშობლიური კუთხის, მარჩენალი მიწის სიყვარულს. მაგრამ განა მარტო ამის ჩიჩინი დააკვებს სოფელში დღევანდელ ახალგაზრდას? ამიტომაა, რომ ამბროლაურის განათლების განყოფილებისა და მისი ხელმძღვანელობის მცდელობა ძირითადად იქით არის მიმართული, რომ ახალგაზრდობასთან პროპაგანდისტულ-საგანმანათლებლო მუშაობას პრაქტიკული, ხილული სიკეთეც ახლდეს თან. თუ უფრო მოკლედ ვიტყვით, ამბროლაურელები ისწრაფიან, რომ მათ ბავშვებს სწავლისა თუ გართობის ისეთივე პირობები ჰქონდეთ, როგორიც ქალაქელ მოსწავლეებს. ან აქ ჩამოთვლის, აღნუსხვის გარეშე ფონს ვერ გავალთ.

ჩინებულ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე ამბროლაურის მე-2 საშუალო სკოლა — თავისი გარეგნული სახითაც, კლასებითა და კაბინეტ-ლაბორატორიებითაც, სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთითაც, ტიპობრივი სასწავლო სახელოსნოებითაც... ცალკე უნდა ითქვას დაწყებითი კლასების შრომის სწავლების კაბინეტების შესახებ. ეს არის ისე მოწყობილი სახელოსნო, რომელიც თვით თავისი გარეგნული იერსახითაც იზიდავს ბავშვს და აყვარებს შრომას, უნერგავს დამოუკიდებელი შრომისა და აზროვნების ჩვევებს. თანაც, — დაუკვირდით ამ გარემოებასაც, — სასწავლო სახელოსნოები სკოლის შენობის ფარგლებს გარეთ არის გატანილი. ასე რომ, სწავლისა და შრომის პროცესები ერთმანეთს სრულიად არ უშლის ხელს. ვფიქრობთ, ეს სიახლე დაინტერესებს სხვა რაიონების განათლების განყოფილებებსაც. სკოლს აქვს ორი ლენგაფონი, ორი რადიოკვანძი, ერთი — სკოლის შიგნით, ხოლო მეორე — გარეთ, ეზოში.

რაიონის სკოლებს არც სასურსათო პროგრამა გამორჩენიათ. მისი რეალიზაცია მასწავლებლობამ და მასთან ერთად მოსწავლეებმა თავიანთ ღვიძლ საქმედ მიიჩნიეს, მით უმეტეს, რომ იგი საკმაოდ გვარიან შემოსავალსაც იძლევა. ასე მაგალითად, მეორე სკოლაში, ისევე როგორც რაიონის თითქმის ყველა სკოლაში, აგებულია კაპიტალური საოორე, ჰყავთ ღორები. ზრდიან, სახელმწიფოს აბარებენ, ხოლო ხორცით მიღებულ შემოსავალს მოსწავლეთა უფასო კვებისათვის იყენებენ.

ყოველივე ეს დიდად სასიამოვნოდ დაგვრჩა, მაგრამ წინ კიდევ უფრო საგულისხმო სიურპრიზი გველოდა. წარმოიდგინეთ ჩვეულებრივი სკოლა, როგორიც მრავლადაა რესპუბლიკაში, და ამასთან ერთად არაჩვეულებრივი (ამაში იოტისოდენა გადაჭარბებაც არ არის) სტადიონი საუცხოო სპორტული ბაზის ფარგლებში მაქსიმალური სარგებლობის მომტან კაცს მადლობა არ დავამადლოთ.

სერგო ცირკიძეს არასოდეს უცდია რაღაც საგანგებოდ თავის გამოჩენა, მაგრამ ჯერ კიდევ ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობის დროს ბევრს აფიქრებინა თავისი მუყაითობით, საქმის უსაზღვრო სიყვარულითა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ორგანიზატორული ნიჭით, რომ თის მოღვაწეობას უფრო ფართო მასშტაბი ესაჭიროებოდა. მალევე დაიწინაურეს და მთელი რაიონის სასკოლო საქმე ჩაუბარეს.

ახლა ისე არ წარმოვიდგინოთ, თითქოს მაღალმთიანი ამბროლაური ეკონომიკურად შეძლებული რაიონი იყოს. სწორედ ასე შეიძლება იფიქროს მკითხველმა, როცა ჩვენი წერილიდან შეიტყობს, როგორ დაეტყო სერგო ცირკიძის ხელი აქაურ სკოლებსა და სასწავლებლებს.

დავიწყოთ იმით, რომ არც ერთი სკოლა არ დარჩენილა თანამედროვე სკოლისათვის საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. რაიონში კი ოცდასამი საშუალო და რვაწლიანი სკოლაა. ნუღარ დავაკონკრეტებთ. რა იგულისხმება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში. ამ პროზაული სიტყვების მიღმა ათასი მსხვილმასი და წვრილმანი რამ არის, რისი შეძენაც ფინანსურადაც საკმაოდ გვარიან თანხას მოითხოვს და არანაკლებ მონდომებასა და მცდელობას.

ყველასათვის ცნობილია, რომ საშუალო განათლება სავალდებულოა ფაქიზ, ფინანსურ, ეტიკეტული სკოლის, არამედ მთელი რაიონის ცხოვრებისთვისაც.

ჩვენი ყურადღება ამ სანაქებო სკოლაში ყოფნისას ერთმა საგულისხმო მომენტმა მიიპყრო: ყველგან სანიმუშო სისუფთავე და წესრიგი სუფევს! სტადიონი, სპორტული კომპლექსი და საერთოდ სკოლის მთელი ტერიტორია ისეა მოვლილ-ნაპატრონები, გაკრიალებული, გული გაგიხათდება. ეს ერთი მხრივ, მაღალ ყოფითს კულტურაზე მეტყველებს, მეორე მხრივ, თვით მოსწავლეებს უნერგავს პიგიენის ჩვევებს და შინაგან დისციპლინას. თითქოს პატარა, უმნიშვნელო დეტალია, მაგრამ არ შეიძლება არ დავფიქრდეთ სისუფთავის მოყვარეული ამბროლაურელების გამომგონებლობა: იმის გამო, რომ არა აქვთ ნაგვის ყუთები, სადღაც ძველი გაზის बालონები უშოვიათ, გადაუკეთებიათ და... ასე გადაუწყვეტიათ პრობლემა.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და სპორტული ცენტრით ამბროლაურის მეორე საშუალო სკოლას არც სოფელ სადმელის საშუალო სკოლა ჩამოუვარდება. თუ რაიონული ცენტრი მაინც ცენტრია და გასაგები მიზეზების გამო მეტი შესაძლებლობა აქვს საქმე უკეთ მოაწყოს, მკითხველმა შეიძლება გაიოცოს სადმელის სკოლის ფენომენი. მაგრამ ამბროლაურმა ეს ზოგისათვის თავსატეხი პრობლემა დემოკრატიულად გადაწყვიტა. ესეც რაიონის განათლების სისტემის ხელმძღვანელთა გონიერებასა და პატრიოტიზმზე ლაპარაკობს.

ამბროლაურის მეორე და სადმელის საშუალო სკოლები გამონაკლისი არ არის. დაახლოებით ასეთივე სპორტული კომპლექსი შენდება სოფელ ხოტევნიკ, ხოლო მარტივი ტიპის სპორტული მოედნები რაიონის უკლებლივ ყველა სკოლს აქვს.

ერთი სიკეთე ამ სპორტული ბაზებისა ისიც გახლავთ, რომ მათ ვერასოდეს ვერ ნახავთ უქმად. ეს უკვე სცილდება სპორტის ფარგლებს. სტადიონი, სპორტული კომპლექსი კულტურის თავისებურ კერებადაც იქცა, სადაც შოწაფე მარტო ჯანმრთელობას როდი იკაეკნ. საუკეთესო სპორტული ბაზა სასიკეთოდ მოქმედებს მის მორალურ-ზნეობრივ იერსახეზეც. ერთი თვალის გადავლებითაც, ზერელე დაკვირვებითაც მიხვდებით, რომ ამბროლაურელ ბავშვებს მოსდგამთ წესრიგი, თავაზიანობა, უფროს-უმცროსობის პატივისცემა.

თუმცა სპორტს მარტოოდენ აღმზრდელობით ფუნქციას ნუ დავაკისრებთ. ჯანმრთელობის გაკაეკნა თავისთავად, მაგრამ სპორტულ შედეგებსაც ხომ აქვს მნიშვნელობა. შემოვიფარგლოთ ერთი მაგალითით, რომელიც ცხადყოფს, რა შეუძლია კარგად ორგანიზებულ სპორტულ მოძრაობას. 1976 წელს მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადის ზონალურ შეჯიბრებში ამბროლაურის სპორტსკოლის გუნდმა 22-ე ადგილი დაიკავა, ორი წლის შემდეგ — მეოთხე, ხოლო წლეულს — მესამე. ამ წინსვლას კომენტარი არ ესაჭიროება.

უფროსების მისაბაძი მაგალითი კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე. ეს საოდუმლო არ არის, მაგრამ ყველგან ასეა. მასწავლებელი და მშობელი ამბროლაურის რაიონში კავშირის, პარტნიორობის, როგორც გნებავთ, ისე უწოდეთ, სინონიმად იქცა. რიტორიკული მოწოდებები იმის თაობაზე, რომ ბავშვის აღზრდა მასწავლებლის, მშობლისა და საზოგადოების ერთობლივი საზრუნავია, აქ ლიტონ სიტყვებად არ დარჩენილა და რეალობად იქცა. იგივე ითქმის სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესზეც, მაგრამ ეს უკვე ცალკე თემაა და ასე. ორი-სამი სიტყვით ამ საკითხთა საკითხის შესახებ ვერ ითქმება.

და მაინც, იქნებ მკითხველმა თვით გამოიტანოს დასკვნა იმ ფაქტებიდან, რომლებიც რაიონის სასკოლო ცხოვრების დონეს ასახავს. ამბროლაურის განათლების განყოფილებს ბოლო ოთხი წლის მანძილზე ორ-ორჯერ გადაეცა საკავშირო და რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და დაჯილდოვდა პირველი ფიფლადი პრემიით. წლეულს, მაისში, საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტროს სისტემის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციისა და ხელმძღვანელობის ცენტრალურმა კომისიამ მოისმინა ბელორუსიისა და სომხეთის რესპუბლიკების განათლების სამინისტროებისა და ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. კომისიამ მიიღო დადგენილება ამბროლაურის რაიონის განათლების განყოფილების მუშაობის გამოცდილების განზოგადების თაობაზე. ერთდროულად „უჩიტელსკაია გაზეტასა“ და „ნაროდნოე ობზორენიეს“ რედაქციებს დავალათ ფართოდ გააშუქონ თავიანთ ფურცლებზე ამბროლაურელ პედაგოგთა საინტერესო საქმიანობა.

ამბროლაურში კარგად არის მოწყობილი სკოლა-ინტერნატებიც. ამ დარგში ადგილობრივმა განათლების განყოფილებამ დიდი და სასარგებლო გამოცდილება დააგროვა. სწორედ ეს გამოცდილება განზოგადდა რესპუბლიკის განათლების სამინისტროს კოლეგიის შარშანდელი თებერვლის დადგენილებით.

...არა, მუდამ არ არის მართალი ანდაზა. მარტო კაცს თურმე ბევრი სასარგებლო საქმის ქნნა შესძლებია, ბევრი კოლეგისა და თანამოსაქმის ეფაფხანებია და გაძღოლა, ბევრი პასიური, ინერტული ადამიანის ამოძრავება, ბევრი თოსნობის წამოწყება... ეს კაცი, — სიამოვნებით ვწერ მის სახელსა და გვარს,— სერგო ცირკიძე, არასოდეს ყოფილა შეპყრობილი კონიუნქტურული აზრებითა და სურვილებით. მისთვის თავარი სხვა რამ არის: აკეთოს ის საქმე, რომელსაც ქვეყანა ავალებს, ყველაზე დიდი და მკაცრი ბატონი — საკუთარი სინდისი უკარნახებს, მოზარდი თაობის აღზრდის უკეთილშობილესი მისია ავალდებულებს. ასე იწყება მისთვის ყოველი ცისმარე დღე. და ვფიქრობ, უფრო სასიამოვნო ცხოვრება არ შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ვიდრე ცხოვრება, მისხალ-მისხალ გაცემული საკუთარი ოჯახის, ნორჩი თაობის, რაიონის, მთელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ყველა ღირსეული და პატიოსანი კაცი ისურვებდა სწორედ ასეთ ცხოვრების წესს.

არჩილ გოგელია.

ხალხური საუნჯის ქომაგი

„სოლანი“ თბილისობისათვის ემზადება

ზემოქმედებით: სავჭრო ფირმა „სოლანი“ 1969 წელს ჩამოყალიბდა. სოლანი, სვანურ ფოლკლორში ხალხური შემოქმედების მფარველი ღვთაება, სულ მალე ამაღორძინებლად მოევლინა მთელი რესპუბლიკის ხალხურ რეწვას. იდეა, რასაკვირველია, იდეად დარჩებოდა, ენთუზიასტებს მრავალი ნიჭიერი ხელოვანი რომ არ ამოსდგომოდათ გვერდში.

ცხადია, დასაწყისი მუდამ ძნელია და... იყო უკმაყოფილება, კამათიც, ყველას როდი მოსწონდა თავდაჰირველი ნაკეთობანი. უნდა ითქვას, რომ თვით „სოლანიც“ სრულიად გაუაზრებლად და გაუანალიზებლად იყენებდა ხალხური შემოქმედების ნიმუშებს ახალი „შედევრების“ შესაქმნელად. მაგრამ გაერთიანებამ დროულად იზრუნა ნაკლოვანებათა გამოსწორებაზე და ამ მხრივ დიდი მუშაობაც გასწია. პროფესორ დავით ციციშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო სპეციალური ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, რის შედეგადაც მოკვლეულ იქნა დიდძალი საინტერესო მასალა (ამ მხრივ გაერთიანებას დიდი დახმარება აღმოუჩინეს მოსახლეობამ და მუზეუმების თანამშრომლებმა). ამ მასალათა სათანადო შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა დამზადებულ ნიმუშებს კვლავ დაბრუნებოდათ თავიანთი პირველადი სახე და კოლორიტი.

— ახლა, როცა ყოველივე ამას ვიხსენებთ, ვრწმუნდებით, რომ სწორად მოვიქეცით, —გვეუბნება „სოლანის“ გენერალური დირექტორი ზურაბ უგულავა,— ბის ფარგლებში მაქსიმალური სარგებლობის მომტან კაცს მადლობა არ დავამადლოთ.

სერგო ცირკიძეს არასოდეს უცდია რაღაც საგანგებოდ თავის გამოჩენა, მაგრამ ჯერ კიდევ ამბროლაურის პირველი საშუალო სკოლის დირექტორად მუშაობის დროს ბევრს აფიქრებინა თავისი მუყაითობით, საქმის უსაზღვრო სიყვარულითა და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, ორგანიზატორული ნიჭით, რომ მის მოღვაწეობას უფრო ფართო მასშტაბი ესაჭიროებოდა. მალევე დაიწინაურეს და მთელი რაიონის სასკოლო საქმე ჩაუბარეს.

ახლა ისე არ წარმოვიდგინოთ, თითქოს მაღალმთიანი ამბროლაური ეკონომიკურად შეძლებული რაიონი იყოს. სწორედ ასე შეიძლება იფიქროს მკითხველმა, როცა ჩვენი წერილიდან შეიტყობს, როგორ დაეტყო სერგო ცირკიძის ხელი აქაურ სკოლებსა და სასწავლებლებს.

დავიწყოთ იმით, რომ არც ერთი სკოლა არ დარჩენილა თანამედროვე სკოლისათვის საჭირო კაბინეტ-ლაბორატორიებისა და გამართული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გარეშე. რაიონში კი ოცდასამი საშუალო და რვაწლიანი სკოლაა. ნუღარ დავაკონკრეტებთ. რა იგულისხმება მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაში. ამ პროზაული სიტყვების მიღმა ათასი მსხვილმასი და წვრილმანი რამ არის, რისი შეძენაც ფინანსურადაც საკმაოდ გვარიან თანხას მოითხოვს და არანაკლებ მონდომებასა და მცდელობას.

ყველასათვის ცნობილია, რომ საშუალო განათლება სავალდებ-

ვნახავ ხოლმე სოლანში დამზადებულ ხალიჩას, თიხის ჭურჭელს, ხის კოვზებსა თუ სხვა ნაკეთობებს, მათი ადრინდელი ირონიული შენიშვნები მახსენდება... ასე რომ, ანდაზა „შინაურ მოვდელს შენდობა არა აქვსო“ ამ შემთხვევაში არ გამართლდა. დღეს გაერთიანება დაახლოებით 20 მილიონი მანეთის საქონელს აწარმოებს ყოველწლიურად და მყარი სავაჭრო კონტაქტები აქვს როგორც სოციალისტურ, ასევე კაპიტალისტურ ქვეყნებთანაც.

გაერთიანება „სოლანი“ საქართველოს 23 რეგიონსა და 2000 თანამშრომელს აერთიანებს. თუ ამ რამდენიმე წლის წინათ ხალხურ ნაკეთობათა ოსტატების საშუალო ასაკი 50-60 წელი იყო, ახლა მათი რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა და გაახალგაზრდავდა. მოსწავლე ახალგაზრდობა, რომელიც აქამდე გულგრილად ადევნებდა თვალს მოხუც ოსტატთა ხელსაქმობას, ახლა უკვე დიდი ინტერესით სწავლობს მათგან ამა თუ იმ ხელოვნებას და ცდილობს კიდეც უფრო ლამაზი და მოხდენილი გამოუვიდეს ნახელავი. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ დარგები, რომლებიც კარგა ხანია დავიწყებას მიეცა, არა თუ გადაურჩა საბოლოო დაღუპვას, არამედ ხელახლა მკვიდრდება ჩვენს ყოველდღიურობაში. 1990 წლისათვის „სოლანმა“ საქართველოს ყველა რაიონის შესაძლებლობანი უნდა შეისწავლოს და გამოიყენოს თავის მუშაობაში.

აი, რა გვიპასუხა „სოლანის“ მთავარმა მხატვარმა რ. მელიქიძე, როცა ვკითხეთ, ექსპედიციის შედეგად მოპოვებულმა და შესწავლილმა მასალამ განსაკუთრებით რომელი დარგის აღორძინებასა და განვითარებას შეუწყო ხელი.

— ყველაზე მეტად ქართული ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვის ტრადიციის აღორძინება-განვითარებას. ასევე შემიძლია დაგისახელოთ ლუჩაკი სუფრა და ჭრელი ნაქსოვი წინდები ანუ სადაიცო ჩითა, ძველი ქართული ბოსწონებიათ ფარდაგის მქსოველ ოსტატებს და გამოუყენებიათ კიდეც. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგ მათგანს სახელიც კი შერქმევია ამისდა მიხედვით, მაგალითად „ლომოური“, „ვარდული“ და სხვა.

ამ საქმის დიდი მცოდნის, რესპუბლიკის სახალხო მხატვრის დ. ციციშვილის მიერ გაწეულმა მუშაობამ ქართულ ფარდაგს თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნა. დღეს მხატვართა მიერ შექმნილ ესკიზებში მთლიანად გამორიცხულია უცხოური შტრიხები და ორნამენტები.

ასეთივე წესით მზადდება ხალიჩაც, ოღონდ მცირეოდენ სხვაობას აქაც ვხედავთ. ჩვენი მეფეების დაკვეთით უცხოელი ოსტატებიც ქსოვდნენ ხალიჩებსა და ყოველთვის ითვალისწინებდნენ ქართულ ნაუშებსა და ორნამენტებს. მქსოველ ოსტატებს გემოვნება რომ განსწონებიათ ფარდაგის მქსოველ ოსტატებს და გამოუყენებიათ კიდეც. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგ მათგანს სახელიც კი შერქმევია ამისდა მიხედვით, მაგალითად „ლომოური“, „ვარდული“ და სხვა.

ამ საქმის დიდი მცოდნის, რესპუბლიკის სახალხო მხატვრის დ. ციციშვილის მიერ გაწეულმა მუშაობამ ქართულ ფარდაგს თავისი პირვანდელი სახე დაუბრუნა. დღეს მხატვართა მიერ შექმნილ ესკიზებში მთლიანად გამორიცხულია უცხოური შტრიხები და ორნამენტები.

ასეთივე წესით მზადდება ხალიჩაც, ოღონდ მცირეოდენ სხვაობას აქაც ვხედავთ. ჩვენი მეფეების დაკვეთით უცხოელი ოსტატებიც ქსოვდნენ ხალიჩებსა და ყოველთვის ითვალისწინებდნენ ქართულ ნაუშებსა და ორნამენტებს. მქსოველ ოსტატებს გემოვნება რომ განსწონებიათ ფარდაგის მქსოველ ოსტატებს და გამოუყენებიათ კიდეც. ეს ეხება ასევე ლამაზ ორნამენტებს, ფერადოვნებასა და ეროვნულობას. ეს ეხება ასევე ლამაზ ორნამენტებს, ფერადოვნებასა და ეროვნულობას. ეს ეხება ასევე ლამაზ ორნამენტებს, ფერადოვნებასა და ეროვნულობას.

ახალი კლუბი

პირველი დამთვალიერებლები მიიღო ახლახან აშენებულმა პიათურის ელექტრომექანიკური ქარხნის კლუბმა. მათ უჩვენეს ფილმი „პიათურა-100“, რომელიც მოგვითხრობს ქალაქის საუკუნოვანი ისტორიის შესახებ.

კლუბში შეიქმნა მხატვრული თვითმოქმედების წრეები, რომლებიც 150-ზე მეტ მუშას აერთიანებენ. ერთ-ერთი დარბაზი უკავია მხარეთმცოდნეობის მუზეუმს.

კოშევნიცაში

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

380096, თბილისი-96. ლენინის ქ. 14.

რედაქცია:

რედაქტორის მოადგილეებს — 99-98-08, 99-08-09, პ/მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 99-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 98-22-98, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 98-20-84, საბჭოთა მუზეუმლობის — 98-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 98-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, კორესპონდენტთა ძველის და ახლის მიმოხილვის — 99-05-29, ადგილობრივი ინფორმაციის — 98-16-90, უცხოეთის ინფორმაციის — 99-60-21, მუშათა წერილების — 99-78-24, ილუსტრაციის — 98-28-54, საზოგადოებრივი მისაღების — 98-95-24.

საკორესპონდენტო პუნქტები:

მოსკოვი — 202-94-92; სოხუმი — 2-40-19; ბათუმი — 8-41-69; ცხინვალი — 2-22-52; ფოთაისი — 5-26-86; ბორი — 2-38-10; ახალციხე — 2-08-15; ზუგდიდი — 5-56-69; მახარაძე — 8-34-44; ზესტაფონი — 39-55; თელავი — 12-09; წითელწყაროა — 28-96; ტყიბული — 25-82.

ტელევიზია

26 ოქტომბერი

მოსკოვი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები. 9.20 — მოგზაურთა კლუბი. 10.20 — მხატვრული ტელეფილმი „ანანა“. 12.15 — ვ. ტრეტიაკოვის კონცერტი (ფაოლინო). 12.55 — ახალი ამბები. 13.00 — კონცერტი. 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ოქროს ვაზი“. 16.00 — ცეკვავს „ბერიოზკა“. 16.45 — მულტფილმი. 17.00 — სსრ კავშირის სამხედრო-საპაერო ძალების მხატვრული კოლექტივების გამოსვლა. 17.35 — ახალი ამბები. 17.40 — მხიარული სტარტები. 18.25 — კონცერტი. 19.00 — ტელენარკვევი. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — ჩვენ ბამს ვაშენებთ. 20.30 — დოკუმენტური ფილმი მიხეილ ლუკონინის შემოქმედების შესახებ. 20.50—მხატვრული ტელეფილმი „ქრთამი“. პირველი და მეორე სერია. შესვენებისას (22.00) — „ვრემია“. 23.55 — დღეს მსოფლიოში.

თბილისი

პირველი პროგრამა. 9.00 — ახალი ამბები (მ.). 9.20 — კინონარკვევი „გორბუნოვი, ბიოგრაფიის შტრიხები“. 9.30 — „მოამბე“. 10.00 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ვახტა გრძელდება“. 10.30 — „ახალი გრამფირფიტები“. 11.00 — ქართული მხატვრული ფილმი „წარსული ზაფხული“. 12.05 — დოკუმენტური ფილმი „სერგეი ესენინი“. 13.00 — მათემატიკის ტელეკურსი. 13.30 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მუშური სიამაყე“. 17.00 — შვეისწავლოთ გერმანული ენა. 17.30 — მოსწავლეთათვის — ქართული მულტიპლიკაციური ფილმი „უნიერო დათუნა“. 17.40 — „შეხვედრა მწვრალთან“. 18.10 — „მეცნიერების სამყაროში“ (სიახლენი აჭყვის ჩაის ფაბრიკაში). 18.45 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ცისარტყელა ველზე“. 19.10 — „ცდა, რომელიც გამოცდილებად იქცა“. მესამე გადაცემა (ჩხოროწყუ). 19.45 „დღეს მსოფლიოში“ (მ.). 20.00 — „მოამბე“. 20.30 — კალათბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ლენინგრადის „სპარტაკი“ — თბილისის „დინამო“. 25 ოქტომბრის შეხვედრის ვიდეოჩანაწერი. 21.25 — „სახალხო დღესასწაული დიდგორობა“. 21.55 — „ბვალ — ტელეეკრანზე“. 22.00 — „ვრემია“. 22.35 — „პირველად ჩვენს ეკრანზე“. მხატვრული ფილმი „გრძნობების დაბრუნება“. 24.00 — ახალი ამბები.

მეორე პროგრამა. 16.00 — მოსწავლეთათვის — მათემატიკა. 16.45 — სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მოიხედე, ნახავ მეგობრებს“. 18.10 — მასწავლებლის საათი — გეოგრაფია.

თუალური

26 ოქტომბერი

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ასის წლის წინათ; აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა მაინც დამიტოვეთ.

მ. ი. ჩიქოვანი

მძიმე დანაკლისი განიცადა ქართულმა საბჭოთა მეცნიერებამ —გარდაიცვალა გამოჩენილი ფოლკლორისტი, შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების ხელმძღვანელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1940 წლიდან სკკპ წევრი, პროფესორი მიხეილ იასონის ძე ჩიქოვანი.

მ. ჩიქოვანი დაიბადა 1909 წელს სოფ. ცხუკუმერში (ცაგერის რაიონი). საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამი წლის მანძილზე პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა მშობლიურ რაიონში.

1929 წელს მ. ჩიქოვანი შედის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამავე წლიდან სისტემატურად თანამშრომლობს ქართულ ეთნოგრაფიულ-გაზეთებში. აქვეყნებს საყურადღებო ნარკვევებს, მოთხრობებს, აგრეთვე წერილებს პედაგოგიკის, ფოლკლორისტიკის, ენათმეცნიერების საკითხებზე, ფართოდ ეხმიანება ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს. 1933 წელს სწავლას განაგრძობს ლენინგრადის ენისა და აზროვნების ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1936 წელს მ. ჩიქოვანი ინიშნება რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილების გამგედ. ამ დღიდან იგი მთელ ენერგიას ძირითადად ქართული ფოლკლორისტიკის განვითარებას ახმარს. 1940 წელს იცავს საკანდიდატო, ხოლო 1947 წელს სადოქტორო დისერტაციას.

მ. ჩიქოვანის მდიდარი სამეცნიერო-ფოლკლორისტული მემკვიდრეობა მოიცავს მრავალფეროვან პრობლემატიკას. ესენია: ზოგადი ფოლკლორისტიკა, ქართული ზეპირსიტყვიერების ისტორია, ფოლკლორი და ქართული მწერლობა, ქართული მითოლოგია, ქართველ და სხვა ხალხთა ფოლკლორული ურთიერთობანი, ფოლკლორული სახელმძღვანელოები, ტექსტოლოგია. იგი ავტორია 300-ზე მეტი ნაშრომისა, რომელთაგან 25 ცალკე წიგნად დაიბეჭდა.

დიდი ამაგი დასდო მ. ჩიქოვანმა შოთა რუსთაველისა და მისი პოემის შესახებ ფოლკლორული მასალების შეგროვებასა და დამუშავებას. 1936-66 წლებში სამჯერ გამოიცა მისი მონოგრაფია „ხალხური ვეფხისტყაოსანი“ (გამოკვლევა და ტექსტები). ამას მოჰყვა ქართული ზღაპრების კლასიფიცირებული სამტომიანი პუბლიკაცია (გამოკვლევა, ტექსტები).

**მ. ჩიქოვანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა „ქართული ფოლკლორის სერიის“ მრავალტომიანი გამოცემები (1936-